# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 11 მარტი, 2010 წელი.

№45 (6411)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## აქა ამბავი რუსი დარტანიანისა და ევროპელი სამი მუშკეტერისა



8

**რა ქნას პეპელამ?**

## კატასტროფა?



## ნუ შეშფოთდებით!

ხალხი ძალზე შეშფოთდა მას შემდეგ, რაც მეცნიერებმა განგაში ატეხეს, რომ ჩილეში მიწისძვრის გამო დედამიწის ღერძმა 8 სანტიმეტრით გადაიწია და დღე-ღამეც დაჩქარდაო. ბევრმა ეს ვითომდა 2012 წლისთვის „დაგეგმილი“ სამყაროს დაღუპვის დასაწყისადაც კი მიიჩნია.

როგორც სწავლულმა ფიზიკოსებმა განმარტეს, საშიში არაფერია. დედამიწის ღერძი ნამდვილად გადაიხარა 8 სანტიმეტრით, მაგრამ ლაპარაკია არა ჩვენი პლანეტის ბრუნვის ღერძზე, არამედ სიმეტრიის ღერძზე. ის რეგულარულად „დაცურავს“ დედამიწის მასის და ჰიდროსფეროს არათანაბარი მოძრაობის გამო. ოკეანისა და ჰაერის მასების გადანაცვლებას მივყავართ ამ ღერძის 2-3 მეტრით გადანაცვლებამდე, ასე რომ, 8 სანტიმეტრი მასთან თითქმის არაფერია.

რაც შეეხება დღე-ღამის ხანგრძლივობას, დედამიწა არათანაზომიერად მოძრაობს – ვთქვათ, აპრილსა და ნოემბერში ოდნავ ნელა, ამასთან დღე-ღამე გრძელდება წამის მეათასედით.

ჩილეში მიწისძვრამ კი გამოიწვია ცხრაჯერ უფრო ნაკლები ცვლილება, ვიდრე სეზონური რყევების დროს.




აირევი ივერია...

4

## მართლაც ბლუც ვართ, ყრუც და მეტიც!

**„წვერებიანი“ ანეკდოტიდან „რადისონ ბლუმდე“ და – პირიქით**

## შეშლილი, შეშლილი, შეშლილი...

5



## „ლევან გაჩეჩილაძე ჯერ თავად უნდა გაერკვეს, რას აპირებს და შემდეგ საზოგადოებაც გაარკვიოს“



3

## მონასელიძის ოჯახს ბიზნესი უბოდიშოდ წაართვეს!

2

როგორ მუშაობს ნაციონალური რეჟიმი თბილისში?

## 1937 წლის გამოცანის ამოხსნა

9

**„საუკუნის დანაშაული“ თუ ქვეყნის გადარჩენა?**

**მონასელიძის ოჯახს ბიზნესი უბოდიშოდ წაართვეს**

# როგორ მუშაობს ნაციონალური რეკეტი თბილისში?

**ამის შესახებ დეპუტატი გიორგი ცაგარეიშვილი პარლამენტის ტრიბუნიდან, საქართველოს პრეზიდენტს ერთხელ უკვე ელაპარაკა, ეს მოხდა სულ რამდენიმე დღის წინათ, როდესაც სააკაშვილი თავის ქვეშევრდომებს ქვეყნის ჭირ-ბოროტზე სასაუბროდ ეწვია.**



„მე ერთ ოჯახზე მოგიყვებით დღეს. მონასელიძეების ოჯახს 2006 წლიდან ქალაქის ცენტრში უძრავ ქონებასართმევენ. ოთხი წელიწადია მათ ებრძვიან. ჭილ-ყვავებივით არიან შესეული ამ ოჯახის საკუთრებას სხვადასხვა რანგის ჩინოვნიკები, დაწყებული ქალაქის ზედამხედველობის ინსპექციით, დამთავრებული ერთ-ერთი მოსამართლით... ეს ობიექტი, სხვათა შორის, აქედან ერთ კილომეტრში მდებარეობს. ჩვენ შეგვიძლია ახლავე წავიდეთ და ვნახოთ დალუქული ობიექტი, რომლის მეპატრონეს ოთხი წელიწადია ატერორებენ. იბარებენ ინსპექციაში, შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში და ა. შ...

კარგი იქნებოდა ეს ოჯახიც აქ ყოფილიყო, მათ თვალებში ჩაგვეხედა და გვეთქვა: რატომ წაართვით ამ ადამიანებს ლუკმაპური. იცით, რატომ? იმიტომ, რომ ის ობიექტი, უბრალოდ, რაღაცა მშენებლობის გვერდით აღმოჩნდა. გინდათ, დაგაკავშირებთ იმ ადამიანებთან? მოვლენ, ჩვენებასაც მისცემენ მთავარ პროკურატურას, უკან არ დაიხევენ“...

დეპუტატის დიდი ხვეწნა-მუდარის მიუხედავად, ამ ფაქტით პრეზიდენტი არ დაინტერესებულა. არც დაინტერესდებოდა, რადგან გამორიცხულია სააკაშვილისთვის ეს ამბავი ცნობილი აქამდეც არ ყოფილიყო. არც ერთი ზარი, არც ერთი კითხვა, პრეზიდენტსა თუ მის ადმინისტრაციას ავთანდილ მონასელიძის ოჯახის ბედი არ აინტერესებს, – ასეთი დასკვნის შემდეგ ცაგარეიშვილმა გუშინ ბრიფინგი გამართა და საკუთრების ხელყოფის ამსახველ ამ ამბავში მეტი სიცხადე შეიტანა.

ავთანდილ მონასელიძეს ბენზინგასამართი სადგური ჰქონდა ლაგუნა-ვერეს გვერდით, სადაც ახლა ერთ-ერთი ცნობილი სასტუმროების ქსელის ბრენდი „ჰაიატი“ მშენებლობას ახორციელებს. 2006 წლის სექტემბერში ბენზინგასამართი სადგურის მეპატრონემ გიორგი საგინაშვილმა (ამჟამად „ჰერმესის“ ხელმძღვანელმა და გიგი უგულავას პროტეჟემ) დაიბარა და მიზერული ანაზღაურების ფასად სადგურის დათმობა შესთავაზა, რაზეც მონასელიძისგან მტკიცე უარი მიიღო. ამის შემდეგ მას 2007 წელს „ჰაიატის“ ქართველი მეპატრონე კახა შარაბიძე დაუკავშირდა და გააფრთხილა, რომ წინააღმდეგობის შემთხვევაში გააძევებდნენ, რაც



ცოტა ხანში აღსრულდა კიდეც. 2008 წლის მარტში ობიექტს შემოსავლების სამსახური ესტუმრა და დალუქა. აღიძრა სისხლის სამართლის საქმე 192-ე მუხლის I ნაწილით. თუმცა მოხდა ისე, რომ 2008 წლის ნოემბერში ამ მუხლს პრეზიდენტის ამნისტია შეეხო და წესით, ობიექტს ლუქი უნდა მოხსნოდა. მაგრამ ამნისტიამდე სულ ერთი დღით ადრე, გამომძიებელმა საქმე გადააკვალიფიცირა და ამავე მუხლის მე-2 ნაწილი შეუფარდა, რაც გულისხმობს საპოხ-საწვავი მასალების უკანონო მოხმარებას.

ობიექტის მეპატრონე მონასელიძეა, თუმცა მას ბენზინგასამართი აღებული ჰქონდა იჯარით, შპს „ჯემალი-2007“-სგან. იჯარას ვადა გაუვიდა, თუმცა ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტი ჯიუტად ედავება ძველ მეპატრონეს.

ამ საქმის დეტალების უფრო ჩაძიება შეიძლება მკითხველისთვის უკვე საინტერესო აღარც იყოს, ვინაიდან ხელისგულზე დევს ის ნიუანსი, რაც ყველაზე მარტივი დასანახია. ობიექტით დაინტერესებულია არათუ „ჰაიატის“ კერძო მეპატრონე, არამედ ჩინოვნიკთა გუნდი, რომელიც ყოველმხრივ ცდილობს, მონასელიძეს მიზერულ ფასად, ან სულაც უფასოდ ააწაპნოს საკმაოდ კარგი და მსუყე ლუკმა – ბენზინგასამართი სადგური ერთობ მიმზიდველი შემოსავლებით, ან ტერიტორია, გრანდ-ჰოტელ „ჰაიატის“ ახლოს.

გიორგი ცაგარეიშვილი, როგორც საქმეში ჩახედული, ამტკიცებს, რომ ეს არის რეკეტი, რომლის უკან თბილისის მერი გიგი უგულავა დგას. ის კი ორიოდე დღის წინათ ლამის აცრემლებული თვალებით დიდი გულისტკივილით უყვებოდა თბილისელებს, რა დიდი პრობლემაა საქართველოსთვის უმუშევრობა. „უგულავას ენა არჩევნების წინ ეშაქრება ხოლმე. ცათამბჯენებს აშენებენ, მაგრამ იქვე, გვერდით მყოფ ბიზნესმენს ფეხქვეშ იგდებენ, არც ელაპარაკებიან. ავთანდილ მონასელიძემ იჩივლა, მაგრამ მასთან მოსალაპარაკებლად არავინ გამოსულა, ამ ეტაპზე რას სთავაზობენ, არც იცის. როგორ უნდა აირჩიონ უგულავა ხელმეორედ, პირდაპირი წესით იმ ქალაქში, სადაც მონასელიძისნაირებს ბიზნესს უტერორებენ, ლუკმას ართმევენ, ჩემთვის გაუგებარია! – ამბობს ცაგარეიშვილი.

ლაგუნა-ვერე ის ფეშენებელური ტერიტორიაა, რომელსაც ასე ადვილად ხელისუფლება არ დათმობს. სამწუხაროა, მაგრამ ვიდრე უგულავა ხელისუფლებაშია, სავარაუდოდ, ამ საქმეს რეზონანსი ვერ მოჰყვება, ყოველ შემთხვევაში, კარგი შედეგის მოლოდინი უშედეგოა, თუმცა ცაგარეიშვილი ამ საქმეზე ხმაურის გაგრძელებას მაინც აპირებს.

**თუ დეპუტატს დავეთანხმებით, პრეზიდენტი, მართლაც, მხოლოდ იმ ადამიანებს ხვდება, რომელიც პიარისთვის გამოადგება. რაც მისი ყურთასმენისთვის უსიამოვნოა, უგულებელყოფს. აი, თუნდაც მონასელიძის ბიზნესის უგულო ფაქტი, რომელსაც სააკაშვილმა ყურიც არ ათხოვა...**

**თეა მოსია**

**აქცია**

# ჟოაო სუარესის მოულოდნელი ნაბიჯი

**ორი დღეა საქართველოში ოფიციალური ვიზიტით ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი ჟოაო სუარესი იმყოფება. როგორც მოგეხსენებათ, 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს ეუთო დააკვირდება, რაც ამ ვიზიტის ერთ-ერთი მიზეზი იყო, თუმცა მთავრობის წევრებთან შეხვედრაზე ოკუპაციის თემას, რუსეთთან მოუგვარებელ ურთიერთობასაც შეეხნენ.**

რადგან მომავალი არჩევნები ქართული პოლიტიკური სპექტრისთვის, განსაკუთრებით, ოპოზიციისთვის, შეიძლება ითქვას სიკვდილ-სიცოცხლის საქმეა, ჟოაო სუარესთან გუშინ გამართულ შეხვედრაზეც წინ ამ თემამ წამოიწია. სანამ უფროსი რესპუბლიკელები, მემარჯვენეები და ალიანსი საქართველოსთვის წევრები საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობაში საკუთარ პოზიციას გამოხატავდნენ, მანამდე მათი ახალგაზრდული ორგანიზაციები გარეთ საპროტესტო მშვიდობიან აქციას მართავდნენ, მოთხოვნით – „ჩვენ ვითხოვთ თავისუფალ არჩევნებს 2010 წელს (WE DEMAND FREE ELECTIONS IN 2010).



როგორც მონაწილეებმა განაცხადეს, ხსენებული გზავნილი ეუთოს პრეზიდენტისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან არჩევნების დაკვირვებასთან ერთად, ეს ორგანიზაცია დაწერს დასკვნას, თუ რამდენად დემოკრატიულად ჩატარდა არჩევნები და წინასაარჩევნო პერიოდი.

**თიკო ძნელაძე, ახალგაზრდა რესპუბლიკელების თავმჯდომარე:**

– ჩვენი მოთხოვნაა 2010 წლის არჩევნების დემოკრატიულად ჩატარება, რისთვისაც აუცილებელი პირობა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური დაკვირვება და დარღვევების გამოვლენაა. ხელისუფლებას არ უნდა გაუჩნდეს იმის განცდა, რომ ამ არჩევნებსაც წინამორბედების მსგავსად ადვილად გააყალბებს, აქციით ვცდილობთ ხმა მივაწვდინოთ მსოფლიო დემოკრატიულ საზოგადოებას.

**რეზო სოხაძე, ახალგაზრდა მემარჯვენეების თავმჯდომარე:**

– მომავალი არჩევნები ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, როგორც თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს იმიჯის გადასარჩენად, რადგან გაუყალბებელი, სამართლიანი არჩევნები ოცნებად გვექცა. ხელისუფლებასთან ერთად პასუხისმგებლობას უნდა იზიარებდნენ ის საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც არჩევნებს აკვირდებოდნენ და საბოლოო დასკვნას ყოველთვის ხელისუფლების სასარგებლოდ აკეთებდნენ, რამაც ჩვენი მთავრობა ერთგვარად გაათამამა. იმედი გვაქვს და ვითხოვთ, რომ გასული წლების არჩევნებზე დამკვიდრებული ცუდი ტრადიციები ამჯერად მაინც არ განმეორდება.

აქციის მონაწილეები, ალბათ, ვერც იფიქრებდნენ, რომ ოპოზიციასთან შეხვედრაზე მისული ჟოაო სუარესი პირველად მათ გაესაუბრებოდა, ხელსაც ჩამოართმევდა, არა პიარისთვის (როგორც ჩვენს პოლიტიკოსებს სჩვევიათ), არამედ გულწრფელი დაინტერესების გამო.

შეიძლება ჟოაო სუარესი გამოცდილი პოლიტიკოსი, დიპლომატია და მასასთან ურთიერთობის მეთოდებს, მასზე დადებითი შთაბეჭდილების მოხდენას ზოგიერთ ქართველ პოლიტიკოსებზე გაცილებით უკეთ ფლობს, მაგრამ მისმა ასეთმა უშუალო ჟესტმა უდავოდ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ირგვლივ მყოფი დაცვის წევრები გაოცებული სახეებით ატყობინებდნენ, როგორც ჩანს უფროსს, რომ ჟოაო სუარესი აქციის მონაწილეებთან გაჩერდა.

რაც შეეხება უშუალოდ საუბარს, დიპლომატი ახალგაზრდებს დაჰპირდა, რომ ეუთო ყველა შესაძლებლობას გამოიყენებს არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებისათვის.

**ჟოაო სუარესი, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი:**

– ჩემი ვიზიტის მიზანი მარტო პოლიტიკოსებთან დახურულ კარს მიღმა საუბარი არ არის, მე მსურს ჩემი ორგანიზაციის სახელით გავერკვე რეალურ ვითარებაში, მათ შორის – წინასაარჩევნო სიტუაციაში. ამიტომ ვხვდები დღეს ქართულ ოპოზიციას, რადგან ეუთოსთვის ყველა მხარის პოზიცია ერთნაირად მნიშვნელოვანია, მე დავპირდი აქ მდგომ ახალგაზრდებს, რომ ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში მაქსიმალურ მონიტორინგს გავუწევთ არჩევნებს და სამართლიან დასკვნასაც დავდებთ.

ჯერჯერობით ეუთო ერთადერთი საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს დააკვირდება, სავარაუდოდ მას თანამოაზრეებიც გამოუჩნდება, მაგრამ რამდენად დადებენ ისინი სამართლიან დასკვნას (თუ წინა წლების გამოცდილებას გავითვალისწინებთ), ჯერ კიდევ საკითხავია.

**ანა წიწილაშვილი**

**პრესკონფერენცია**

# მწვანეთა პარტია ლარსის გაკონტროლებას ითხოვს

**„ლარსის სასაზღვრო პუნქტის გახსნასთან დაკავშირებით აჟიოტაჟია ატეხილი, რომელსაც ხელისუფლება მალავს“... ასე დაიწყო პრესკონფერენცია საქართველოს მწვანეთა პარტიის ლიდერმა გიორგი გაჩეჩილაძემ. მწვანეების გუშინდელი პრესკონფერენცია სწორედ ლარსის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტს უკავშირდებოდა. მწვანეთა პარტია მოითხოვს, შეჩერდეს დღემდე მოქმედი 2006 წლის შეთანხმება „საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის საქართველოს ტერიტორიის გავლით სამხედრო ტვირთებისა და პერსონალის ტრანზიტის ორგანიზების შესახებ“.**



გიორგი გაჩეჩილაძისა და გიორგი შერვაშიძის ერთობლივ პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გახსნის შემდეგ, არ ცხრება დისკუსიები ამ გადაწყვეტილების მიღების მიზანშეწონილობისა და სრულიად გაუგებარი, „თითიდან გამოწოვილი“ მიზეზის – ყაზბეგის რაიონის უსაფრთხოების შესახებ.

ამ დისკუსიების ფონზე რატომღაც ყველას „დაავიწყდა“, რომ არსებობს გაცილებით სერიოზული საფრთხის შემცველი ფაქტორი – 2006 წლის შეთანხმება, რომელიც დღემდე ძალაშია.

ეს დოკუმენტი უფლებას აძლევს რუსეთს, საქართველოს ტერიტორიაზე გაატაროს სამხედრო პერსონალი, სამხედრო ტექნიკა, აღჭურვილობა და სხვა სამხედრო დანიშნულების ტვირთებიც. შეთანხმების პირველ და მეორე მუხლში პირდაპირ წერია: „შეთანხმება, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ინტერესებიდან გამომდინარე და რუსეთის 102-ე სამხედრო ბაზის მატერიალურ-ტექნიკური და საკადრო უზრუნველყოფის მიზნით, განსაზღვრავს“ საქართველოს ტერიტორიის გავლით ოჯახის წევრებისა და სამხედრო ტვირთების ტრანზიტის განხორციელების წესს.



ამ შეთანხმების შესრულება ეკისრებათ: საქართველოს მხრიდან – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სააგენტოს. რუსეთის მხრიდან – რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს.

**გიორგი გაჩეჩილაძე:** ასეთი კარგად აღჭურვილი სამხედრო ობიექტი სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს არა მარტო საქართველოს, არამედ მთლიანად რეგიონისთვის. საგანგაშოა, როდესაც რუსეთი საქართველოში მიტაცებულ ტერიტორიებზე, ყველა საერთაშორისო ნორმის დარღვევით, რამდენიმე სამხედრო ბაზას აშენებს. ეს ფაქტი ეწინააღმდეგება არა მარტო საქართველოს კონსტიტუციას და მოქმედ კანონმდებლობას, არამედ საერთაშორისო სამართლის ნორმებს.

საქართველოს მწვანეთა პარტია მოითხოვს, რომ შეჩერდეს ამ შეთანხმების მოქმედება, სანამ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა არ აღდგება. ასევე, ლარსის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე გატარებული იყოს მხოლოდ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანისთვის განკუთვნილი არასამხედრო დანიშნულების ტვირთები.

პრესკონფერენციის დასასრულ კი მწვანეთა პარტიამ საერთაშორისო ორგანიზაციებს **გაეროს, ეუთოს და ევროკავშირს მიმართა, რათა ლარსის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე უმკაცრესი კონტროლი დააწესონ. ბოლოს გიორგი გაჩეჩილაძემ ისიც დასძინა, რომ რუსეთისთვის ლარსის პუნქტის გახსნა სასარგებლო იყოო...**

**ხატია მუსერიძე**

ექსპერტი

# „ლევან გაჩეჩილაძე ჯერ თავად უნდა გაერკვეს, რას აპირებს და შემდეგ საზოგადოებაც გაარკვიოს“

***ოპოზიციაში მიმდინარე პროცესებზე, ექსპრემიერ ზურაბ ნოღაიდელისა და პარლამენტის ექსსპიკერის მოსკოვური ვიზიტების შესახებ; აგრეთვე, მოსკოვთან ურთიერთობის სავარაუდო პერსპექტივებზე და რატომ არ სურს რუსეთის ხელისუფლებას საქართველოს ხელისუფლებასთან ურთიერთობა, „ინტერპრესნიუსი“ პოლიტოლოგ სოსო ცისკარიშვილს ესაუბრა.***



**— ბატონო სოსო, რა ხდება ოპოზიციის იმ ნაწილში, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობენ? ფაქტია, რომ ოპოზიცია არჩევნებს დაქსაქსული ხვდება...**

— ოფიციალურად არჩევნები ჯერ დანიშნული არ არის, მაგრამ ქვეყანაში შეინიშნება ეიფორია, როგორც სახელისუფლო, ისე ოპოზიციური. მოლოდინი იმისა, რომ დათქმულ ვადებში შედგება არჩევნები, საყოველთაო არ გახლავთ, რადგან ქვეყანაში არსებობენ გარკვეული ძალები, რომლებისთვისაც არჩევნებზე უფრო მნიშვნელოვანი გახლავთ საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნება.

დღეს, როდესაც ვსაუბრობთ ოპოზიციაში მიმდინარე პროცესებზე, ერთი რამ ცხადია — ერთობა, რომელიც გასული წლის საპროტესტო აქციებში ჩამოყალიბდა, იყო უფრო დეკლარირებული, ვიდრე — რეალიზებული, დღეს კი, მიუღწეველია. მაგრამ მივიჩნევ, რომ ეს მაინც წინგადადგმული ნაბიჯია პოლიტიკური კულტურის ფორმირების პროცესში, რადგან ამ ქვეყნად ხელოვნური არაფერი ვარგა, მათ შორის არც ერთობა, რადგანაც იგი გარკვეულ სიყალბეს შეიცავს, ხოლო სიყალბეში ჩვენს ხელისუფლებას ვერც ერთი პოლიტიკური ძალა ვერ შეედრება.

ახლა ოპოზიციაში მთავარი ადგილებისა და ნიშების მოპოვების პროცესია. რამდენიმე თვეა, ოპოზიციის შიგნით პრაიმერის თემა მუდმივი კამათის საგანია. ვფიქრობ, ზედმეტი ყურადღება, რომლითაც სარგებლობდა ეს იდეა, ოპოზიციის ერთიანობისთვის უკვე გარკვეული ზღუდეც გახდა. რა შეიძლება იყოს ოპოზიციისთვის იმაზე მაღალი მიზანი, ვიდრე ხელისუფლებაში მოსვლაა, მაგრამ, როდესაც არსებული ხელისუფლების კრიტიკას უფრო მკაფიოდ უპირისპირდება ერთმანეთის კრიტიკა, თუნდაც ტექნოლოგიებზე შეუთანხმებლობის გამო, თუ როგორ უნდა გამოვლინდეს ერთიანი კანდიდატი, ეს ნეგატიურ გავლენას ახდენს ამომრჩეველზე. არ შეიძლება თვითმიზანი იყოს საარჩევნო ტექნოლოგია და არც რაიმე ტიპის ახირება. ყველა პოლიტიკური ძალისთვის თვითმიზანი უნდა იყოს ქვეყნის კეთილდღეობა და საკუთარი თავის დანახვა, საკუთარი შესაძლებლობების შეფასება იმ რეალობებიდან გამომდინარე, რომელშიც ვიმყოფებით.

**— პრაიმერის მომხრეებს თბილისის მერობის არჩევნებზე თავისი კანდიდატი ეყოლებათ, რამდენად სავარაუდოა, რომ მათი კანდიდატი სწორედ ლევან გაჩეჩილაძე იყოს?**

— ყველა პოლიტიკოსმა მკაფიო არტიკულაციით უნდა წარმოაჩინოს საზოგადოების წინაშე თავისი პოზიცია. ტერმინები უნდა იყოს სრულიად გასაგები, ვინაიდან საკუთარი ბუნდოვანებით მსჯელობა უკვე აზრს კარგავს. პირადად მე ვერ გავრკვეულვარ ლევან გაჩეჩილაძის პოზიციაში. ის ბრძანებს, რომ თუ ყველა დაუჭერს მხარს ირაკლი ალასანიას, თვითონაც მათ გვერდით დაუდგება. როცა ქვეყანაში 200-მდე პარტიაა, მან უნდა განმარტოს, რას ნიშნავს სიტყვა „ყველა„. „ყველაში„ რა მოიაზრება? საუბარია 10-ზე მეტ, თუ 100-ზე მეტ პარტიაზე? კვალიფიცირებულ პარტიებზეა საუბარი თუ პარლამენტსგარეთ არსებულ პარტიებზე? ეს გაურკვევლობა თავად ბატონი ლევანის დაბნეულობას ემყარება. ბატონი ლევან გაჩეჩილაძე ჯერ საკუთარ თავში უნდა გაერკვეს, თუ რას აპირებს და შემდეგ საზოგადოებაც გაარკვიოს.

**— არჩევნებში გამარჯვების რა შანსები აქვს დაქსაქსულ ოპოზიციას, რომელიც, როგორც ჩანს, თბილისის მერის არჩევნებზე რამდენიმე კანდიდატით მიიღებს მონაწილეობას?**

— ოპოზიციურ ლიდერებს საარჩევნო კამპანია ჯერ კიდევ არ დაუწყიათ, მაგრამ ოპოზიციის მიმართ გაურკვეველი პოზიციის კანდიდატები კარგა ხანია ჩნდებიან ტელეეკრანზე. მათ მიმართ საკმაო ინტერესს გამოხატავენ სახელისუფლო ტელევიზიები. პოლიტიკური პარტიებისთვის პრიორიტეტი უნდა იყოს ხალხთან ურთიერთობა, არადა, პარტიების ძირითადი ენერგია ამომრჩეველთა სიების დადგენაზე იხარჯება.

დღევანდელი გადასახედიდან ყოველივე უთანხმოება, რომელიც პოლიტიკურ ძალებს შორის აქამდე არსებობდა, შეიძლება, დაიძლიოს მხოლოდ ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვისა და უკანა აზრის მქონე ფრაზეოლოგიის გარეშე, საკუთარი სათქმელის პირდაპირ თქმით და გამჟღავნებით. გამჭვირვალობა, ღიაობა, რომელსაც მართალია, ასე უშედეგოდ მუდმივად ითხოვს საზოგადოება ხელისუფლებისგან, ანალოგიურად მოეთხოვება ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებსაც აქვთ პრეტენზია, იყვნენ ხალხის რჩეულები.

**— ბურჯანაძის მიერ ნოღაიდელის გზის გამეორებამ ცხადყო, რომ ქართულ პოლიტიკაში რუსულმა ვექტორმა ახალი დინამიკა შეიძინა. იზიარებთ თუ არა მოსაზრებას, რომ ნოღაიდელისა და ბურჯანაძის მოსკოვური ვიზიტებით რუსეთი ქართულ პოლიტიკაში უკვე ღიად ბრუნდება? და კიდევ, იმის გათვალისწინებით, რომ პრაიმერს დაჟინებით ისინი ითხოვენ, ვისაც დაბალი რეიტინგი აქვს, ხომ არ ჰგავს ოპოზიციის ლიდერთა მოსკოვური ვოიაჟები მათივე პოლიტიკური სტატუსის ძებნის მცდელობას?**

— არ გამოვრიცხავ, რომ ასეთ მიდგომაშიც გარკვეული სიმართლე იყოს. ჩემთვის ეს ორივე ვიზიტი სრულიად განსხვავებული წარმოშობის და განსხვავებული სცენარის ფაქტი გახლავთ. პირველ შემთხვევაში ჩვენ ვიხილეთ არა მხოლოდ მზაობა რუსეთის პოლიტიკურ წრეებთან ურთიერთობის, არამედ სრულიად გამაოგნებელი გადაწყვეტილება, მხედველობაში მაქვს ნოღაიდელის „ედინაია რასიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულება. „ედინაია რასია“ რუსეთში იმპერიალისტური აზროვნების მთავარ იდეოლოგად გვევლინება. ამ პარტიასთან ნოღაიდელის „ჩახუტება“ ჩემთვის იმის მიმანიშნებელია, რომ მას შეუძლია ისევ „ჩაეხუტოს“ „ნაციონალურ მოძრაობას“. ამ პარტიებს შორის განსხვავებას ვერ ვხედავ. ვერც ნოღაიდელისგან მოვისმინეთ რაიმე მკაფიო ახსნა, თუ რა მოეწონა მას „ედინაია რასიაში“და რით სჯობია ის „ნაციონალურ მოძრაობას“.

რაც შეეხება ქალბატონ ბურჯანაძეს, ის ალბათ კარგა ხანს ფიქრობდა, გადაედგა თუ არა ასეთი ნაბიჯი. მისი პირადი პოლიტიკური კლასი ქართულ პოლიტიკაში ყველაზე მაღალია, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მისი ყველა ნაბიჯი მისაღები და მისაბაძია. დარწმუნებული ვარ, ასეთ გადაწყვეტილებას ეიფორიაში არ მიიღებდა და ეს ნაბიჯი სერიოზული გათვლების შემდეგ გააკეთა. მისი მოსკოვში ვიზიტის შესახებ სერიოზული დასკვნები მას შემდეგ შეიძლება გავაკეთოთ, რაც ბურჯანაძისგან შევიტყობთ, ვისთან და რაზე ჰქონდა საუბარი.

**— რუსეთი დიდი ხანია ცდილობს საქართველოსთან დასავლელი პარტნიორების გარეშე საუბარს, მაგრამ ჩვენ მოსკოვთან ერთი-ერთზე ურთიერთობების პრაქტიკა საკმაოდ დიდი გვაქვს და ვიცით, რომ ამგვარი რამ ქართული მხარისთვის წამგებიანია...**

— ეჭვი მეპარება, რომ რუსეთს ჰქონდეს სურვილი, ერთი-ერთზე ელაპარაკოს საქართველოს. ეს მოსკოვის ინტერესებში არ შედის. მოსკოვში პუტინთან გამართული შეხვედრები მოლაპარაკების სტატუსის მქონე არ იყო. ეს, ჩემი აზრით, უფრო კრემლში პოლიტიკური ექსკურსიებია, ვიდრე — რაიმე მოლაპარაკების რეალობა, რადგან მოლაპარაკებებზე მხარეებს თანაბარი უფლებამოსილება უნდა ჰქონდეთ.

მეორე, რატომაც ვფიქრობ, რომ რუსეთს არ სურს თანაბარუფლებიანი მოლაპარაკება საქართველოსთან — ამ შემთხვევაში მოსკოვი იძულებული იქნება, ყოველგვარი არამკითხე მოამბეების გარეშე დაუშვას პირდაპირი მოლაპარაკებები თბილისსა და სოხუმს, თბილისსა და ცხინვალს შორის. ეს კი, მოსკოვისთვის მიუღებელია. დღეს არსებული ე.წ. ჟენევის კონსულტაციების ფორმატი რუსეთისთვის საუკეთესოა და ათწლეულების განმავლობაში მის მიერ კარგად გამოცდილია. ასეთი ფორმატი მხოლოდ რუსეთის ინტერესებს ემსახურება და რუსეთი რაიმე ტიპის შედეგზე მოტივირებული არ არის.

**— რა პერსპექტივა შეიძლება ჰქონდეს რუსეთთან ურთიერთობების მოლაპარაკებების დაწყებას?**

— ისიც უნდა გავაანალიზოთ, რატომ ვირჩევთ თავად ჩვენ სოხუმთან და ცხინვალთან ურთიერთობისთვის რუსულ მოდელს. სოხუმთან და ცხინვალთან დაკავშირებით თბილისმა თავისი დამოკიდებულება შემუშავებული სტრატეგიით გამოხატა. ჩემთვის გაუგებარია, დასავლეთის დედაქალაქებში რატომ იწვევს სტრატეგია დაუფარავ აღფრთოვანებას. რუსეთი მზად არის ქართველებთან ერთად იმღეროს, იცეკვოს, ირბინოს, იხტუნოს, მაგრამ არ არის მზად, ისაუბროს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და ესაუბროს საქართველოს ხელისუფლებას. საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება, რუსეთის მსგავსად, მზად არის იმღეროს, იცეკვოს, ირბინოს, იხტუნოს აფხაზებთან და ოსებთან, ოღონდ არანაირი კონტაქტის დამყარებას არ აპირებს ოკუპანტების მიერ მხარდაჭერილ მარიონეტულ რეჟიმებთან. გამოდის, რომ ჩვენ საკუთარ გაცხადებულ სურვილს ვეწინააღმდეგებით, როცა უარს ვაცხადებთ სოხუმისა და ცხინვალის ხელისუფლებასთან რაიმე კონტაქტზე და დიალოგზე. როგორც თბილისი უყურებს ოფიციალური მოსკოვის თვალთმაქცობას და პირფერობას ქართველებთან ურთიერთობისას, ზუსტად ასეთი ხედვა აქვთ სოხუმში და ცხინვალში თბილისის მიმართ, რადგან ჩვენ მათთან დამოკიდებულებაში, პრაქტიკულად, რუსულ მოდელს ვიმეორებთ.

რაც შეეხება მომავალს, ორივე ქვეყანაში არსებობენ ძალები, რომლებიც საკუთარი ხელისუფლებებით ბედნიერი თუნდაც იმის გამო არ არიან, რომ მათ ორ ქვეყანას შორის ომის გარდა ურთიერთობების სხვა ფორმა ვერ მოძებნეს. სწორედ ასეთ კრიტიკულად განწყობილ რეალისტებს შეუძლიათ გამართონ ერთმანეთთან მოლაპარაკებები, როგორც საზოგადოებრივმა ძალებმა და არა სახელმწიფოს წარმომადგენლებმა.

**კობა ბენდელიანი**

სხვა გაზეთიდან

## მოსკოვი ეძებს სააკაშვილის შემცვლელს

**პრემიერმა პუტინმა ამ დღეებში მიიღო თბილისელი მოოპოზიციონერო ქალბატონი ბურჯანაძე. რუსეთში ეძებენ სააკაშვლის შემცვლელს? დაინტერესებულნი ვართ თუ არა საქართველოსთან ურთიერთობის დამყარებით?**
**ე. კოლობოვი. კრასნოდარი**

პარლამენტის ექს-სპიკერი ნ. ბურჯანაძე „პირველი ქართველი ოპოზიციონერი როდია, რომელსაც რუსეთის ფედერაციის ხელისუფალნი ხვდებიან. 2008 წლის ომის შემდეგ, ადრე ვ. პუტინი შეხვდა ექსპრემიერ ზ. ნოღაიდელს, საგარეო საქმეთა სამინისტროს თავკაცი ს. ლავროვი — ი. ალასანიას. მაგრამ ურთიერთობის აღდგენამდე ჯერ კიდევ შორსაა, — მიაჩნია სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატს, დსთ-ს ქვეყნების ინსტიტუტის მეთაურს კონსტანტინე ზატულინს: — „რასაკვირველია, ნებისმიერი კონტაქტები ურთიერთობის მოსაწესრიგებლად სასარგებლოა, უკვე აღარაფერი რომ ვთქვათ იმაზე, რომ რუსეთსა და საქართველოს მტკიცე ისტორიული, კულტურული და ადამიანური კავშირები გააჩნიათ. არის ეკონომიკური ინტერესიც. საქართველო კარიბჭეა კავკასიისკენ. მასზე გადის უმნიშვნელოვანესი სავაჭრო გზები. ახლა ის თავის ტერიტორიას უთმობს იმ ჩვენს „მეგობრებს“ დასავლეთში, რომლებსაც სურთ, ჩვენ გვაჯობონ თავიანთი გაზითა და ნავთობსადენებით. მეგობრული საქართველო რუსეთისთვის ხელსაყრელი იქნებოდა“.

**ვიქტორ იურიევი**

Аргументы и факты №10. 2010.

ინფორმაცია

### „ალიანსს“ გრეჩიხამ „წითელი ბარათი“ ამოუღო

**„დაიცავი საქართველოს“ ლიდერი ლევან განჩეჩილაძე „ალიანსს“ ურჩევს. საკუთარ გზას მიხედოს.**

**ამის შესახებ გაჩეჩილაძემ ოპოზიციური ძალების წამომადგენლებთან კონსულტაციების დასრულების შემდეგ განაცხადა.**

**— ალიანსს მინდა ვუთხრა, რომ საკუთარ გზას მიხედოს და ჩემს ამბავს აქტუალურს ნუ ხდის და ნუ აბუქებს, — აღნიშნა გაჩეჩილაძემ და აქვე დასძინა, რომ მისთვის მნიშნელოვანია არჩევნებს ბრძოლა დაერქვას, რომელსაც ერთიანი კანდიდატი ეყოლება.**

**„დაიცავი საქართველოს“ ოფისში ლევან გაჩეჩილაძესთან პოლიტიკური კონსულტაციები სამშაბათს, მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. მერის არჩევნებზე ოპოზციის ერთიანი კანდიდატის შერჩევის შესახებ მოლაპარაკებებში კახა კუკავა, ირაკლი ალასანიას თანაგუნდელი კოკა გუნცაძე და დეპუტატი გია ცაგარეიშვილი მონაწილეობნენ.**

**ოპოზიციონერების შეფასებით, თვითმმართველობის არჩევნებზე ოპოზიცია აუცილებლად ერთიანი კანდიდატით უნდა წარდგეს.**

### „ალიანსელებმა“ კი არაადეკვატური გრეჩიხა დაამუნათეს

**ალიანსის წევრების შეფასებით, „დაიცავი საქართველოს“ ლიდერმა ლევან გაჩეჩილაძემ თავად არ იცის რა უნდა.**

**— პოლიტიკური კონსულტაციების შემდეგ ლევან გაჩეჩილაძე არაადეკვატურად გალიზანებული მეჩვენა და მისი გალიზიანების მიზეზი ჩვენთვის გაუგებარია. ალიანსს თავის გზა დიდი ხანია არჩეული აქვს და თავისი გამოკვეთილი კანდიდატურაც ჰყავს, რომელსაც არა მხოლოდ პოლიტიკური ძალები, არამედ საზოგადოების დიდი ნაწილიც მხარს უჭერს, — განაცხადა „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთმა ლიდერმა ფიქრია ჩიხრაძემ.**

**ამასთან, „მემარჯვენე“ მამუკა კაციტაძის შეფასებით, ცუდია, არჩევნებზე ოპოზიციას შორის ხმების დაქსაქსვა, მაგრამ ამას ჯობია 100 კანდიდატი დაასახელონ, ვიდრე მოსახლეობა ასეთი ჩამოუყალიბებელი პოზიციით დააბნიონ.**

**აღსანიშნავია, რომ ირაკლი ალასანიას თანაგუნდელი კოკა გუნცაძე ლევან გაჩეჩილაძესთან კონსულტაციებს მართავდა. გუნცაძის განცხადებით, შეხვედრაზე ოპოზიციის ერთიანი კანდიდატის იდეის გადარჩენის საკითხები განიხილეს.**

ჯი-ეიჩ-ენი

## ◉ ვუბრუნდებით დაბეჭდილს

***მიხო თურმე ბაღში მუშაობით იხვითქებოდა, არდადეგებზე ჩამოსული მისი სტუდენტი შვილები კი ლაღობდნენ — „ო, მანი, მანი ბლუ ო მანი, ბლუო“, მღეროდნენ.***

***გამწარებულა მიხო — თქვენი ასე და ისე, რაკი უკვე გამოგზარდეთ და გზაზეც დაგაყენეთ, ახლა ბლუცა ვარ და ყრუც, არაო?***

***ეს „წვერებიანი“ ანეკდოტი ჩვენზე, მთელ ქართველობაზეა ზედგამოჭრილი მცირე გამონაკლისით, ანუ ქართველთა იმ პატარა ჯგუფის გამოკლებით, ვინც საპატიო, პასუხსაგებ თანამდებობებზე ავირჩიეთ, „გზაზე დავაყენეთ“ და ახლა მათი გამოისობით ძალიან ბევრ რამეში თავში ხელი გვაქვს საცემი.***

***ამიტომაც ვართ ბლუც, ყრუც და მეტიც!***



ფოტო №4

# მართლაც ბლუც ვართ, ყრუც და მეტიც!

## „წვერებიანი“ ანეკდოტიდან „რადისონ ბლუმდე“ და – პირიქით

ამის დასტურად მხოლოდ ერთ, მავანთათვის, შესაძლოა, წვრილმან, ჩემი აზრით კი, ძალიან მნიშვნელოვან საკითხზე შევჩერდები.

შარშან, 2 სექტემბერს, თბილისში კიდევ ერთი სასტუმრო გაიხსნა — რესტავრირებული ყოფილი „ივერია“, რომლისგანაც, საძირკველ-ჩონჩხის გარდა, ძველი არაფერი, სახელიც კი არ დარჩენილიყო.

„რადისონი“ ნამდვილად ქართული საწარმოაო, — თქვა მიხეილ სააკაშვილმა სასტუმროს გახსნისას.

ნამდვილქართველობისა რა მოგახსენოთ, როცა, როგორც ვთქვი, სასტუმროსთვის ქართული სახელწოდება — „ივერიაც“ კი არ შეუნარჩუნებიათ, რომელი სახელწოდებაც ჩვენთვის, ქართველებისთვის, მარტოოდენ უბრალო სიტყვა არ არის.

სწორედ ამის გათვალისწინებით დაიბეჭდა „საქართველოს რესპუბლიკის“ 4 სექტემბრის ნომერში წერილი — **„აკი ქართულიაო, უფალო პრეზიდენტო?!“**

ბოდიშის მოხდით, მკითხველს მცირე ამონარიდი მინდა შევთავაზო ამ პუბლიკაციიდან:

**„...უფალო პრეზიდენტო, როგორღაა „რადისონი“ ქართული საწარმო, თუ მის ფასადზე ერთი ქართული სიტყვაც არ ჭაჭანებს, თუნდაც ინგლისური შრიფტით აწყობილი?**

**რატომ გაუბედეს ამის გაკეთება ქართველობას „რადისონის“ შინაურ-გარეულმა ინვესტორებმა თუ მეპატრონეებმა?**

**მოგეხსენებათ, გავერანებული სასტუმრო „თბილისიც“ შეიძინეს და მშვენივრად აღადგინეს უცხოელებმა, მაგრამ მისთვის არც გარეგნული იერი დაუკარგავთ და, რაც მთავარია, არც სახელი — აღდგენილ სასტუმროს „თბილისი-მერიოტი“ ჰქვია.**

**არც „მეტეხი“ მოუსვრია ახალ უცხოელ მეპატრონეს მეტეხის ხიდიდან მტკვარში — სასტუმროს „შერატონ მეტეხი პალასი“ დაერქვა.**

**აქ კი რა ხდება? რატომ გაბედეს ვიღაცვიღაცეებმა „ივერიის“ „გადაყლაპვა“? იმიტომ ხომ არა, რომ არავინაა მათთვის პასუხის მომთხოვნი?**

**რა გამოდის? ვარდების რევოლუციამდელი „უვარგისი“ მთავრობა-ხელისუფლება ამჟამინდელზე ბევრად პროქართული და ქართულჯიგრიანი ყოფილა?“**

იმ წერილით რედაქცია მოითხოვდა, რომ ახალგახსნილ სასტუმროზე ქართული სიტყვა „ივერიაც“ წაეწერათ. თანაც ქართულად!

მოითხოვდა, მაგრამ...

ამიტომაც, ორიოდ კვირის შემდეგ, 17 სექტემბრის ნომერში, „საქართველოს რესპუბლიკამ“ კვლავ გამოაქვეყნა მასალა, ოღონდ უკვე ღია წერილი-მიმართვა ქალაქ თბილისის მერის გიგი უგულავასა და დედაქალაქის საკრებულოს თავმჯდომარის ზაალ სამადაშვილისადმი — **„რადისონი“ რას გვიზამდა, ქართულ ჯიგარს რომ გვატყობდეს!“**

პუბლიკაცია, სათანადო მიმართვებითურთ, ადრესატებს ოფიციალურად გადაეგზავნა.

პასუხი, რომელსაც ხელს მერიის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე, ადმინისტრაციის იურიდიული სამსახურის უფროსი ირაკლი აბესაძე აწერდა, ოპერატიულად, კანონით დადგენილ ვადებში მივიღეთ. მკითხველს უცვლელად ვთავაზობთ მას ორი საგულისხმო მომენტის გათვალისწინებით (სტილი დაცულია — **რ. რ.**).

**„ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის იურიდიულმა სამსახურმა განიხილა ა. წ. 18 სექტემბერს შემოსული თქვენი განცხადება №07/67418-2, რომლის პასუხად გაცნობებთ, რომ „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად „ეკონომიკური აგენტის (მეწარმე სუბიექტის) ოფისზე ნებისმიერი ფორმით (აბრა, სტენდი და ა. შ.) განთავსებული ნებისმიერი ზომის წარწერა, რომელიც აღნიშნავს, რომ ამ ოფისში არის განთავსებული ესა თუ ის ობიექტი, სავაჭრო ფირმა, რესტორანი და ა. შ. არ შეიძლება ჩაითვალოს რეკლამად, თუ ის არ არის დაშორებული ამ კონკრეტული ობიექტიდან 1,5 მეტრით მაინც“.**



ფოტო №3

**ზემოთქმულიდან გამომდინარე, გარემონტებულ-რეკონსტრუირებული „ივერიის“ შენობაზე განთავსებული წარწერა არ მიიჩნევა რეკლამად, რის გამოც ვერ მოექცევა „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულირების სფეროში. შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, ქ. თბილისის მერია მოკლებულია შესაძლებლობას რეაგირება მოახდინოს თქვენს მოთხოვნაზე.**

**ამასთან გაცნობებთ, რომ წერილი განსახილველად და შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნა სასტუმრო „რედისონ სას ივერიას“.**

მკითხველს ვთხოვ, ყურადღება მიაქციოს ბოლო წინადადებას — **„წერილი განსახილველად და შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნა სასტუმრო „რედისონ სას ივერიას“.**

აქ გასაკვირი და საყურადღებო, ერთი შეხედვით, თითქოს არც არაფერია, რომ არა ზემოაღნიშნული ორი საგულისხმო მომენტიდან პირველი: **სად, შენობის რომელ მონაკვეთზე** (გარდა პირველ სართულზე მდებარე კაზინოს კედლისა (ფოტო №1) **წაიკითხა მაშინ ბატონმა ირაკლიმ სიტყვა „ივერია“?** (სხვათა შორის, მერიის მიერ სასტუმროს ხელმძღვანელობისთვის გაგზავნილ წერილსაც, რომლის ასლიც **№2 ფოტოზეა** აღბეჭდილი, მისამართად აწერია: **„რედისონ სას ივერიას“.** რა ხდება? საკუთარი უმწეობით შეწუხებულნი ხომ არ „გვინამიოკებენ“, კი ვიცით, რაც უნდა ეწეროს და როგორც უნდა ეწეროს ყოფილ „ივერიის“ შენობასო, მაგრამო...).

მაშინ-მეთქი, ხაზგასმით იმად ვამბობ, რომ მხოლოდ იმ მიმოწერიდან გარკვეული დროის შემდეგ გაჩნდა სასტუმროს შენობის მიმდებარედ, შადრევანთან, ქუჩის პირას, მიწიდან საფლავის ქვასავით (ღმერთმა გვაშოროს, ფუი ეშმაკს!) ამოზრდილ მომცრო კედელზე ინგლისურენოვანი წარწერა **„რადისონ სას ივერია ჰოტელ“ (ფოტო №3).**

ამის შემდეგ, შარშანდელი ოქტომბრის მიწურულს, ჩვენი გაზეთის რედაქციამ უკვე უშუალოდ სასტუმროს ხელმძღვანელობას გაუგზავნა წერილი, რომლითაც სთხოვდა მას, ეცნობებინა გაზეთის პუბლიკაციებთან და მერიის მიერ მისთვის გადაგზავნილ წერილთან დაკავშირებით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ.

**წერილობითი პასუხი არ მიგვიღია, მაგრამ მალე შენობის მარჯვენა ფლიგელზე, მეორე სართულზე, გაჩნდა უკვე ქართულენოვანი წარწერა „რადისონ ბლუ ივერია“ (ფოტო №4).**

და სწორედ ახლა მინდა შევეხო ზემოაღნიშნული ორი საგულისხმო მომენტიდან რიგით მეორეს: რაკი რედაქციისთვის გამოგზავნილ პასუხში მერიის ადმინისტრაციის იურიდიული სამსახურის უფროსმა მოიშველია „რეკლამის შესახებ“ კანონის მეექვსე მუხლის მერვე პუნქტი, რომლის თანახმადაც თურმე „გარემონტებულ-რეკონსტრუირებულ „ივერიის“ შენობაზე განთავსებული წარწერა არ მიიჩნევა რეკლამად, რის გამოც ვერ მოექცევა „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულირების სფეროში“, და თბილისის მერიაც „მოკლებული ყოფილა შესაძლებლობას, რეაგირება მოახდინოს ჩვენს მოთხოვნაზე“, ბატონ ირაკლის და მის ზემდგომ ხელმძღვანელ მუშაკებსაც მოკრძალებით მინდა შევახსენო ამ კანონის მეორე თავის — „ზოგადი და სპეციალური მოთხოვნები რეკლამისადმი“ — მეოთხე მუხლის პირველი ოთხი პუნქტის მოთხოვნები, რომელთა წყალობითაც მათ კანონით **„მიეცემათ შესაძლებლობა, რეაგირება მოახდინონ ჩვენს მოთხოვნაზე“.**

აი, რა წერია ამ პუნქტში:

**„რეკლამა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება სახელმწიფო ენაზე... საქართველოში განთავსებული სხვა ენაზე რეგისტრირებული სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის (ლოგოტიპის) მფლობელს ევალება მისი ტრანსლიტერაციის (ერთი დამწერლობის ასოების გადაცემა სხვა დამწერლობის ასოებით — რ. რ.) წესით გადმოცემა ქართულ ენაზე.**

**უცხო ენაზე შესრულებული წარწერა ზომით (ყველა შემთხვევაში) და რაოდენობით (გარდა ტელეპროდუქციისა) არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ (ტრასნლიტერირებულ) ფორმას.**

**ორენოვანი მანათობელი წარწერის გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია ობიექტზე გაკეთებული ყველა წარწერა (ქართულიც და უცხოურიც) იყოს ერთნაირად განათებული და კითხვადი“.**

ვფიქრობ, ყველაფერი გასაგებია.

ვგონებ, ყველანი დამეთანხმებიან, რომ **№2 ფოტოზე** აღბეჭდილი კედელი „კონკრეტული ობიექტიდან“ 1,5 მეტრით კი არა, სულ მცირე, 20-ჯერ 1,5 მეტრით მაინც არის დაშორებული. ამდენად, იგი უთუოდ **„მოექცევა „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულირების სფეროში“.**

ამის გათვალისწინებით, ბატონი ირაკლი და ქალაქის სხვა ხელმძღვანელო მუშაკებო, **უნდა იყოს თუ არა იმ „კედელზე“ ორენოვანი წარწერა და „ივერია“?**

დარწმუნებული ვარ, არც იმაში შემედავება ვინმე, რომ კანონში ნახსენებ სიტყვა **„ობიექტში“** სწორედაც მხოლოდ რაიმე ნაგებობა იგულისხმება და არა, ვთქვათ, სიგარეტის კოლოფი თუ სხვა რამ სარეკლამო საქონელი.

ეს სიტყვა, ცხადია, ყოფილი „ივერიის“ შენობაზეც ვრცელდება. და რახან ასეა, ვგონებ, ისიც იოლი მისახვედრია, თუ როგორი წარწერა უნდა ჰქონდეს მას **(„ქართულიც და უცხოურიც“).**

ვფიქრობ, ამაშიც დამეთანხმებიან ბატონი ირაკლიც და ქალაქის სხვა ხელმძღვანელი მუშაკებიც.


ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაცია

№ 07/67418-2

„28“ სექტემბერი 2009

„რედისონ სას ივერიას“

მის: ქ. თბილისი, ვარდების რევოლუციის მოედანი, 1
ტელ:. (+995 32) 40 22 00

ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის იურიდიულ სამსახურში ა.წ. 18 სექტემბერს შემოვიდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორის წერილი №07/67418-2, რომელიც ეხება სასტუმრო „რედისონ სას ივერიაზე“ განთავსებული წარწერის „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობის საკითხს. გიგზავნით საკითხს განსახილველად და შემდგომი რეაგირებისათვის.

დანართი: 4 (ოთხი) ფურცელი

ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე,
ადმინისტრაციის იურიდიული
სამსახურის უფროსი — ირაკლი აბესაძე

ფოტო №2

**თუმცა, როგორც ჩანს, თვით ყოფილი „ივერიის“ მეპატრონეებიც მიხვდნენ, რომ დროა, „მოექცნენ „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულირების სფეროში“ და კონკრეტული მოქმედებაც დაიწყეს: ჯერ მიწიდან „ამოზრდილ“ კედელზე წააწერეს (მართალია, ინგლისურად, მაგრამ მაინც!) „ივერია“, შემდეგ მეორე სართულამდეც „ამაღლდნენ“ და, ალბათ, მალე შენობის „კენწეროსაც“ მიაღწევენ, სადაც ჯერ მხოლოდ ინგლისურენოვანი წარწერა „რადისონ ბლუ“ ჩანს, რომლის თავზეც, ალბათ, ქართულენოვანი „ივერიაც“ გამოჩნდება.**

**ისე, ცოტა არ იყოს, ერთობ რაჭული ტემპით კი ირჯებიან მისი მეპატრონეები, მაგრამ სულ არარაობას ხომ ჯობს?**

**რუსლან რუსია**



ფოტო №1

გლობუსი

ორი თვე ისტერიულად ვიყვირეთ, ვიბლავლეთ, ლოყებიც დავიხოკეთ, მაგრამ უშედეგოდ. როდესაც წინასწარ იცი, რომ არაფერი გამოგივა, თავი არ უნდა გაიმასხარაო. თუმცა ცოდნისათვის განათლება საჭირო, რაც საქართველოში დეფიციტია. ეს რჩევა იმას, ვისაც შემორჩენილი აქვს საღი განსჯისა და ანალიზის უნარი და არა იმათ, ვისაც ქართული პოლიტიკის ნაწილი, ცხადია ხელისუფლების და მისი გულშემატკივარი საზოგადოების ჩათვლით, ჰქვია. ამ კატეგორიაზე 20 წელია არც რჩევა ჭრის და არც თხოვნა. აქ, „შეაყარე კედელს ცერცვის" მარადიულობა გარანტირებულია, არადა ცოტა ღრმად, რომ ჩაეხედათ ჩვენს ხელისუფალთ საერთაშორისო ცხოვრებაში, ბევრს თუ არა, ცოტას მაინც გაიგებდნენ, რომ მსოფლიო საქართველოს ირგვლივ არ ბრუნავს, ისე, როგორც ამას სააკაშვილი გვიმტკიცებს, რომ საქართველო თავისი „ვარდების რევოლუციით და ლიდერით ვერასოდეს იქცევა ჩაგრულ ხალხთა მესიად, რომ ჯამური საქართველო, კაკულიასაც ვერ აჯობებს და ვერაფრით დაარწმუნებს ევროპას, რომ ფრანგული სადესანტო ხომალდებით ევროპის დაპყრობა მოხდება.

ეს „საფრთხე" პრეზიდენტმა ლონდონიდან გაგვაცნო, თუმცა ჩანს უშედეგოდ, ვინაიდან მაზოხიზმს მონატრებულმა, ევროპის შუაგულში მდებარე საფრანგეთმა ყურად არ იღო კაკულიაძეცეული სააკაშვილის წინასწარმეტყველება და მოსალოდნელ დამპყრობელ რუსეთთან სავაჭრო გარიგების სარფიან მორევში გადაეშვა. როგორც მოსალოდნელი იყო საფრანგეთში რუსეთის პრეზიდენტის ვიზიტის დროს საფუძველი ჩაეყარა დასკვნით მოლაპარაკებას რუსეთისათვის სამხედრო შვეულმფრენის მიყიდვის თაობაზე. და არა მარტო მიყიდვის, არამედ რუსეთში ერთობლივი საწარმოს შექმნის შესახებ, რომელიც მომავალში არაერთ „მისტრალს" ააშენებს. ჩვენ ვერ ავღუდებით რუსეთისათვის გემის მიყიდვასო, დაახლოებით ასეთი აზრი გამოთქვა პრეზიდენტის სპიკერად შეთავსებულმა ევროინტეგრაციის მინისტრმა. ინტეგრაცია უახლოეს წლებში არ არის მოსალოდნელი თვითონაც კარგად მოეხსენება, ამდენად პრეზიდენტის გამხმოვანებლობას მიჰყო ხელი. ქართულ მედიაში „მისტრალის" ისტერიული ისტორიის დასაწყისი სწორედ მას უკავშირდება. რა არ ითქვა მის და სხვათა გვერდიდან ბრიფინგის ჩაშლისთვის, რა თანხა არ დაიხარჯა უცხო ქვეყნების პოლიტიკოსთა დასარწმუნებლად მოგზაურობებში. ყველაფრის თავი უცოდინრობა და საკუთარი ავადმყოფური იდეის სხვაზე თავსმოხვევის უსუსური მცდელობა იყო. თავის და სხვის „დასამშვიდებლად" იაკობაშვილი თავხედურად აცხადებს — თუ რუსეთს შეუძლია „მისტრალის" ყიდვა, რატომ არ შეუძლია საქართველოს ახალი იარაღის შეძენაო. როგორც ჩანს მოსალოდნელია იარაღის ახალი პარტიის შემოტანა, სავარაუდოდ აშშ-დან ან ისრაელიდან, თუმცა ამას წინათ მოსკოვში მყოფმა ისრაელის პრემიერმა ნეთანიაჰუმ განაცხადა, რომ ის არ მიაწვდის იარაღს საქართველოს თუ მოსკოვი უარს იტყვის ირანისთვის საზენიტო რაკეტების C-300-ის მიყიდვაზე. იუშჩენკოს იარაღი ხომ ისტორიას ჩაბარდა?! სტოკჰოლმის ინსტიტუტის მიხედვით საქართველო იარაღის იმპორტის თვალსაზრისით მოწინავეა აღმოსავლეთ ევროპაში.

**არანაკლებ ფუჭი გამოდგა მეორე ისტერიული ყვირილი ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გახსნასთან დაკავშირებით. ამ საკითხში განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ ქრისტიან-დემოკრატები, არც სხვას დაუკლია ხელი. თავდავიწყებით წიოკობდა თითქმის ყველა ექსპერტი — არეშიძიდან, ხუციშვილიდან, თავდგირიძიდან დაწყებული ტრადიციული ბარბოვებით დამთავრებული. როგორც ჩანს ყმაწვილები ვერ მიხვდნენ ხელისუფლების გულისნადებში, არადა როგორ გამომიცნობდნენ, როდესაც ანტილარსული ყაყანის დასაწყისში მისი პოზიცია ზუსტად ემთხვეოდა ზემოთ ჩამოთვლილთა „ბრძნულ" აზრს ანუ ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის სამარადისო ჩაკეტვას.** სააკაშვილის აზრის შეცვლას სომხეთის ხელისუფლება უნდა უმადლოდეთ. ასეა თუ ისე ამ შემთხვევაში სააკაშვილის ნაბიჯი გამართლებული და პრაგმატულია, რასაც სხვებზე ვერ ვიტყვით. უკან დარჩა კრიტიკული მოსაზრება, რომ საზღვრის გახსნა დაღუპავს საქართველოს, თითქოს სამი წლის წინათაც დაკეტილი ყოფილიყოს. პირიქით ჩარაზულმა სამმა წელმა, ტვირთებისა და ადამიანთა ტრანზიტის შეჩერებამ მძიმედ იმოქმედა არა მარტო ქვეყნის ეკონომიკაზე, არამედ გზისპირას არსებულ დასახლებებში მცხოვრებთა ჯიბეებზე. ვერაფრით გავიზიარებ მოსაზრებას, რომ რუსეთი ყაზბეგს დაიკავებს, რომ ახალი ოკუპაცია გარდაუვალი იქნება, ყაზბეგის მოსახლეობა დაიცლება და სხვა.

**ამ აზროვნებით საქართველოს ყველა საზღვარი უნდა ჩაიკეტოს, მაგრამ დუხჭირი ცხოვრებისგან თავის დასაღწევად შარაზე დამდგარ საქართველოს ვერავითარი ბოქლომი ვერ შეაკავებს, რაც კარგად ჩანს რეალობიდან ანუ უცხოეთში გადახვეწილი ასეული ათასობით ქართველიდან. მათი უდიდესი ნაწილი, სწორედ მზაკვარ რუსეთში ცხოვრობს და იქიდან გამოგზავნილი ფულით არჩენს ოჯახს. ძველი მონაცემებით — გამოგზავნილი თანხა 3 მილიარდ დოლარს აჭარბებს, ნაცვლად იმისა, რომ ე. წ. ექსპერტობამ საფუძლიანად შეუტიოს ხელისუფლებას ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი სოციალური ვითარების გაუმჯობესებისათვის, რაც ეკონომიკური მიგრაციის უმთავრესი საბაბია, ქვეყნის „უსაფრთხოების" „შეუვალ" იდეებს ახმოვანებს. პატრიოტიზმსა და ცრუპატრიოტიზმს შორის დიდი ზღვარია, პატრიოტიზმი მარტო ფრონტის ხაზზე არ ვლინდება. პატრიოტიზმი ისიცაა, როდესაც კომპასდაკარგულ საზოგადოებას სამშვიდობოზე გასასვლელ გზას მიანიშნებ. ექსპერტობა ამას უნდა გულისხმობდეს და არა ამას:** „რუსეთთან დამაკავშირებელი ლარსის საზღვრის გახსნა არის უდიდესი შეცდომა, როგორც სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით, ასევე ზნეობრივი თვალსაზრისითაც, რადგან საქართველოში დგას რუსეთის საოკუპაციო ჯარი და ჩვენ რუსეთთან ომი გვაქვს გამოცხადებული. საქართველომ ომი უნდა გამოუცხადოს ყველაფერს, რაც რუსულია, დაწყებული რუსული წარწერებიდან, დამთავრებული თუნდაც რუსული გადაცემებით, რუსული ესტრადით, რუსული კულტურითაც".

# შეშლილი, შეშლილი, შეშლილი...

**ეს „სიბრძნე" სამხედრო ექსპერტ თავდგირიძეს ეკუთვნის, ალბათ არც ღირდა შუასაუკუნეობრივი აზროვნების ნიმუშზე ყურადღების გამახვილება, მაგრამ სამწუხაროდ, ასეთმა, ცუდად იბარტყა, რაც ქვეყანას კარგს არ მოუტანს. თუ რატომ ვართ რუსეთთან ომში ან რატომ არის ჩვენი ტერიტორია ოკუპირებული დიდ კვლევაძიებას არ საჭიროებს. არ შევვარდნილიყავით ტანკებით ცხინვალში — მსგავსს ადგილი არ ექნებოდა. არ შევვარდნილიყავით აფხაზეთში — დღეს სხვა ვითარება იქნებოდა, ანუ ქართველთათვის მიუღებელი ფედერაციული ან კონფედერაციული სახელმწიფო-პოლიტიკური სისტემა, რაც გაცილებით სჯობს დაკარგულს. „ჩვენი ტერიტორიები იყო, გინდა ტანკით შევიდოდით და გინდ გრადით" — ამბობენ გუშინდელი და დღევანდელი ხელისუფლების კორიფეები". და ავიწყდებათ, რომ ტანკით ოჯახში არ დადიან. ამაზე მავანი უმალ მომახლის — რუსეთი რომ ჩეჩნეთში ტანკით შევარდაო? ჯერ ერთი, რუსეთის მაგალითი დიდი ვერაფერი შესაშურია და მეორეც ტერორიზმსა, მით უმეტეს საერთაშორისოს და იმას, რასაც აფხაზეთ-ოსეთში ჰქონდა ადგილი, სერიოზული განსხვავებაა. ამ ლოგიკით ტალიბთა საქმე სამართლიანია, ხოლო ცხრა მთასა და ზღვის გადაღმიდან მისული ამერიკელების და მათი მოკავშირეების, მათ შორის საქართველოს ომი, ოკუპაცია. აქვე შეგახსენებთ — არავითარ ოკუპაციას ადგილი არ ექნებოდა, სააკაშვილი რომ დაჰყოლოდა მედვედევ-სარკოზის წინადადებას ავტონომიების სტატუსის განმსაზღვრელი მოლაპარაკების დაწყებასთან დაკავშირებით.**

**სააკაშვილის ნეგატიურ სულისკვეთებას, პირდაპირი მნიშვნელობით, ზურგი გაუმაგრა იმ ათეულ ათასობით „პატრიოტმა", რომლებმაც 2008 წლის 12 აგვისტოს „მიშა, სარკოს" ბღავილით გააყრუეს თბილისის ცენტრი.** იმასაც მოგახსენებთ, რომ ყოველივე რუსულისგან გამიჯვნა თვით საქართველოსთვის არის საშიში და იზოლაციაში მოქცევის საბაბი, ვინაიდან მსოფლიო არენაზე გაცილებით ძვირად შეფასებული და ანგარიშგასაწევი რუსეთი ამ პრობლემასაც იოლად მოაგვარებს. რაც შეეხება მეზობელთან ომში ყოფნას — საინტერესოა რამდენი ხნით აპირებს საქართველო წამგებიან პოზიციაში არსებობას? პოლიტიკაში ემოციური სისწრაფე დამარცხების საწინდარია. **დაუფიქრებელი, აუწონავი გადაწყვეტილების ნაყოფი იყო ომის დაწყება, დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა და დსთ-დან გამოსვლა. მოწინააღმდეგესთან პოლიტიკურ-დიპლომატიური პაექრობაა საჭირო. არ იქნება ურთიერთობა, არ იქნება დიალოგი. არ იქნება დიალოგი — მეტი საფრთხე იქნება მოსალოდნელი. საქართველომ ურთიერთობაც დაკარგა და საპაექრო მოედანიც, დსთ-ს სახით. და კიდევ ერთი, არცთუ უმნიშვნელო რამ — როდესაც რუსეთთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტაზე ვლაყბობთ, იქ მცხოვრები ქართველებიც უნდა დავივიწყოთ და მათ მიერ გამოგზავნილი ფულიც. ვეჭვობ დანაკლისი ბედოვლათმა ექსპერტობამ აანაზღაუროს.**



ქართველ პოლიტიკოს-პოლიტოლოგთა უდიდესი ნაწილი ვერაფრით მიხვდა, რომ არც აშშ-ი და არც სხვა სახელმწიფო არ დაუპირისპირდება რუსეთს საქართველოსთვის ტერიტორიების დასაბრუნებლად. მით უმეტეს მაშინ, როდესაც ამერიკა დარწმუნდა ომის დამწყების ვინაობაში, თუმცა აგრესორის სახელი მისთვის დასაწყისიდანვე ცნობილი იყო. საქმე მის ამ ერთობ არასასიამოვნო ვითარებიდან თავის მშრალად დაძვრენას ეხებოდა. მან, ჩვეული ნაბიჯი გადადგა — აქაოდა არაფერ შუაში ვარო, გვერდზე გადგა, მაგრამ ძველი მოკავშირის მხარდასაჭერად და საკუთარი ქმედების კომპენსაციისათვის ფული გამოგვიყო. ყვავს კაკალი გააგდებინო, ესეც რაღაცაა, თუმცა თანხა ვერ შეცვლის დაკარგულ ტერიტორიებს. **პოლიტიკოს ქართველობას ხშირად უყვარს თქმა — შევცდით ბატონო, შეცდომა ყველას მოსდისო, მაგრამ ამასთან უყვარს საკუთარი შეცდომის სხვაზე გადაბრალება, თავის მართლება. ამის კლასიკური მაგალითი გვიჩვენა პროფესორმა ალექსიძემ თავის უკბილო მტკიცებით — ომი რუსეთმა დაიწყოო. ბატონო ლევან! გაიღვიძეთ დეპოში ვართ. საერთაშორისო კომისიამ რახანია გამოავლინა აგრესორი, მაგრამ თავის გასამართლებლად ყველაფერს იკადრებს კაცი.** ქართული პოლიტიკა და მას მიტმასნილი პოლიტოლოგია სადღაც რომ მიექანება ნათელია. მან დაკარგა სინამდვილის და რაც მთავარია სირცხვილის გრძნობა. მავანი შემედავება პოლიტიკა და სირცხვილი შორს არის ერთმანეთისგანო, მაგრამ ეს აქ. იქ იმ ცივილიზებულ სამყაროში, საითკენაც სიტყვით და არა საქმით მივდივართ სხვა ვითარებაა ასე სწრაფად, ასე მოურიდებლად არ იცვლიან აზრს. **აზრის ცვლის სისწრაფეში ალასანიამ ყველას აჯობა — დღეში რამდენჯერმე, რაც თავისთავად არასერიოზულობას, სიმსუბუქეს ნიშნავს, მსუბუქი პოლიტიკოსი კი მარცხისათვის არის განწირული. შეიცვალა აზრი ბურჯანაძემაც. რუსეთის ლანძღვა-გინებაში სააკაშვილის მხარდამჭერმა მოსკოვს მიაშურა „ქვეყნის გადასარჩენად". ცნობილი გამოთქმა — ჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს, ჩვენს შემთხვევაში ნახევრად გამართლებულია, ანუ ვეჭვობ დაკარგული ტერიტორიები უკან დაგვიბრუნონ. მოსკოვში ვიზიტებმა ის მაინც უნდა მოახერხოს სხვა რომ არ დავკარგოთ, საერთოდ კი მხოლოდ დიალოგით თუ გამოსწორდება გაფუჭებული საქმე. ბურჯანაძის ვიზიტს, ისე, როგორც ნოღაიდელის, ხელისუფლების მხრიდან მოსალოდნელი გინება მოჰყვა — მოღალატე ოკუპანტთან ჩავიდა და ხელი ჩამოართვაო. რატომღაც ცხრა ზღვას იქეთ ვაშინგტონში სისტემატური ხეტიალი მოღალატეობად არ ითვლება, მოსკოვში წასვლა კი მოღალატეობაა, ვინაიდან ქართული ლოგიკით მოსკოვი ოკუპანტია.**

დავა ძნელია, ფაქტი სახეზეა, მაგრამ ჩემის აზრით ორივე — აშშ და რუსეთი ოკუპანტია, ერთი მახვილით, მეორე ტკბილი სიტყვით და ფოჩიანი კანფეტებით. როდესაც ქართული ტელეკომპანიების ჟურნალისტები ქართულ სიტყვას ინგლისურზე გაცვლიან, თან გაიძულებენ იცოდე მისი მნიშვნელობა, სხვა არაფერია თუ არა რბილი დაპყრობა. და ისმის ეთერიდან სათაურის ნაცვლად — ჰედლაინი, იმედგაცრუების — დისეპოინტმენტი, ხელმძღვანელობის — ლიდერშიპი, რომელი ერთი ჩამოვთვალო? მიგვაჩვიეს ტელეეკრანებიდან მამათმავალთა ყელყელაობას, დედაკაცების ორგაზმზე საუბარს, სასქესო ორგანოების დამარცვლით გამოთქმას. მალე გეი პარადსაც ჩავატარებთ, ერთსქესიანთა ქორწილებშიც მოვილხენთ, ომბუდსმენის მოსაზრებისა არ იყოს — ცისფერ მერსაც ავირჩევთ, არმიაშიც ცისფერებს მივესალმებით. რითი ვართ ამერიკელებზე ნაკლები — იქ ხომ დართეს ნება პედერასტებს იმსახურონ ჯარში?!

ამას წინათ ახლადშექმნილი პარტიის ლიდერმა ხაჭაპურიძემ ინტერვიუში დაუფარავად ამხილა აშშ-ი ნარკოტრეფიკში. ოფიციალური თუ არაოფიციალური ამერიკა რომ ყელამდეა ჩაფლული ავღანეთიდან ნარკოტიკების საქართველოს გავლით ტრანზიტში, ძველი ამბავია. ისიც ძველია, რომ ამის წყალობით საქართველოში ნარკომანთა რაოდენობა კატასტროფულადაა გაზრდილი. მაგრამ აწუხებს ეს ვინმეს? თვით ამერიკელთა მონაცემებით საქართველოში ნარკომანთა რაოდენობა 200 000-სს აჭარბებს. არაოფიციალურით — გაცილებით მეტს. ბედოვლათ ხელისუფლებას და უფრო ბედოვლათ ოპოზიციას მხოლოდ არჩევნები აწუხებს, ანუ ხელისუფლებაში ყოფნა ან მოსვლა. ამიტომაც ებრძვიან ისინი ერთმანეთს, როგორც საკუთარი ძალით ისე დაქირავებულთა ხელით. ხელისუფლებას დიდ დახმარებას უწევს ე. წ. ლიბერალი რუსები. ერთმა ჯგუფმა ნოვოდვორსკაიას, ილარიონოვის და სხვათა შემადგენლობით სულ ახლახანს იმოგზაურა საქართველოში. **მოსკოვში დაბრუნებისთანავე ნოვოდვორსკაიამ ისეთი ქოქოლა დააყარა ბურჯანაძეს, სააკაშვილსაც რომ შეშურდებოდა, იმავდროულად აქო და ადიდა სააკაშვილი, როგორც ბრძენი, განათლებული, პატრიოტი ადამიანი, რის შემჩნევაც არა მარტო ქართველს, არამედ სხვა უცხოელსაც უჭირს.** ფულმიღებულ ნოვოდვორსკაიას გეზი საქართველოს მოსახლეობის მოწამვლაზე აქვს აღებული. დასხივების ობიექტი კი ნაცვლად სერიოზული განსჯისა ახალ-ახალი აღმოჩენებითაა დაკავებული. **ერმა პუტინის კასპელობით რომ იჯერა გული, ახლა იანუკოვიჩს მიადგა — შევარდნაძის „ლევი შვილიაო" ანუ ნაბიჭვარიაო. ამ „სენსაციას" მწერალმა ვახტანგ ხარჩილავამ იუმორისტული წერილიც მიუძღვნა, სადაც ტიმოშენკო ბურჯანაძის შვილად ანუ ისიც ნაბიჭვრად არის გამოყვანილი. წერილის ბოლოს კი შესანიშნავი სამომავლო ვარაუდია — პრეზიდენტის უზომო მოგზაურობებში დაჩეკილი ბავშვების შესახებ. გაიზრდებიან ისინი და ნახავთ, როგორ დაიპყრობს ქართველობა მსოფლიოსო, გვაიმედებს ავტორი. ხუმრობა იქით იყოს და უცხოეთში წარმატებულ ქართველთა ძებნის თემას არაერთი წერილი ეძღვნება ქართულ პრესაში. უმეტესობა „ნამდვილ" ფაქტებს ეყრდნობა. ვაი ჩვენს თავს!**

ქართული აზროვნების სხვაგვარობას კარგა ხნის წინათ მიაგნო ერთი ქვეყნის ერთმა მწერალმა — ქირურგიული ჩარევააო საჭირო, თქვა მან. არ დავუჯერეთ. არადა სინანულით ნათქვამი საყურადღებო უნდა ყოფილიყო.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

ⓞ ბაკურიანის „კოხტა-1“ – 25 წლისაა

# ფეხბედნიერი გამოდგა

**ბაკურიანის ავტომატიზებულ ბაგირგზას, სახელგანთქმულ და ბევრისთვის საყვარელ „კოხტა-პირველს“ ამოქმედებიდან მეოთხედი საუკუნე შეუსრულდა.**

**მისი პროექტის მომზადებისა და ამოქმედების ისტორიის შესახებ ვთხოვეთ მოეთხრო საქართველოს სამთო-სპეციალური ელექტროტრანსპორტის სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსის შპს „საქსპეცტრანსის“ გენერალურ კონსტრუქტორს, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილ წევრს, პროფესორ შოთა ორჯონიკიძეს.**

– სამი ათეული წლის წინათ, – ამბობს ბატონი შოთა, – დადგა საკითხი კოტლიაკოვის ქარხნის მიერ დამზადებული და ხანგრძლივი ექსპლუატაციის შედეგად მოძველებული ბაკურიანის სათხილამურო სპორტის ბაგირგზის „კოხტა-1“-ის გაუქმებისა და მისი დემონტაჟის საკითხი.



ამ კონსტრუქციის ბაგირგზის ახლით შეცვლა გაუმართლებელი იყო, რადგან მისი მწარმოებლურობა საათში მხოლოდ 250 კაცი იყო, მაშინ როდესაც ევროპაში ახალი ტექნოლოგიებით დამზადებული ბაგირგზის ეს მაჩვენებელი 750 კაცი გახლდათ საათში.

ამას გარდა მცირდებოდა საჭირო კაპიტალდაბანდებანი და მიწის ფართობი, ავტომატიზებული წრიული ტიპის ორსავარძლიანი ბაგირგზით მომსახურების კომფორტი, შედეგად – თავად სამთო-სათხილამურო სპორტის მოყვარულთა ნაკადი თავისი სათანადო დასკვნებით.

მაგრამ აღნიშნული საერთაშორისო დონის ბაგირგზის მოწყობისთვის საჭირო სავალუტო სახსრები საქართველოს მაშინ არ გააჩნდა. საერთოდ, ყოფილი საბჭოთა კავშირის არც ერთი რესპუბლიკისათვის ცენტრალიზებულად ამ მიზნისთვის სავალუტო სახსრები არ გამოიყოფოდა. ეს კი სამთო-სათხილამურო სპორტის განვითარებისთვის დიდ სიძნელეებს განაპირობებდა.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერით, პირველად ყოფილ საბჭოთა კავშირში, მომზადდა სამგზავრო ბაგირგზების განვითარების მდგომარეობისა და პერსპექტივების სამეცნიერო-ტექნიკური ანალიზი სათანადო რეკომენდაციებით. დოკუმენტი მოიწონეს როგორც რესპუბლიკის, ისე საკავშირო შესაბამისმა ორგანოებმა. მოსკოვში მიიღეს გადაწყვეტილება ევროპის ქვეყნებში გამოცდილების შესასწავლად ჯგუფის მივლინების შესახებ. ჯგუფის ხელმძღვანელობა მე დამევალა.

მივლინებიდან დაბრუნების შემდეგ წარვადგინეთ ანგარიში. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო და მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტებში, სათანადო ექსპერტიზის გავლის შემდეგ მხარი დაუჭირეს ჩვენს ანგარიშს და მოხდა იმ დროისთვის უპრეცედენტო შემთხვევა – საქართველოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკურ კომპლექსს საქსპეცტრანსის სახით გამოეყო მეხუთე კატეგორიის ვალუტა, რომელიც საკმარისი აღმოჩნდა ბაკურიანში საფრანგეთ-სლოვაკეთის ერთობლივი საწარმოს „ტატრაპომას“ ტექნოლოგიებით დამზადებული: ბაკურიანში „კოხტა-1“-ისთვის წრიული და გუდაურში – ორი სათრეველა ბაგირგზის მოწყობილობის შესაძენად.

ბაკურიანში ბაგირგზის სამუშაოები შეასრულა საქსპეცტრანსის ბორჯომის მოძრავმა მექანიზებულმა კოლონამ „ბაგირმშენმა“ ქალაქ კეჟმაროკის სპეციალიზებული ქარხნის სპეციალისტებთან ერთად.

სამუშაოები შესრულდა მაღალ დონეზე და ავტომატიზებული ბაგირგზა საექსპლუატაციოდ გადაეცა „საქსპეცტრანსის“ სპეციალიზებულ სამმართველოს „ბაგირგზაექსპლუატაციას“.

მნიშვნელოვნად გაიზარდა ბაკურიანში სამთო-სათხილამურო სპორტის მოყვარულთა ნაკადი, დასაქმდა ადგილობრივი მოსახლეობა. მახსოვს, მსოფლიოში სახელგანთქმული ჩვენი „მფრინავი ტორპედოს“ კობა წაქაძის, ამ დარგის ერთ-ერთი თავდადებული მოღვაწის გერა აბრამიშვილის, ბაკურიანის დიდი პატრიოტის ოთარ გოცირიძის და სხვათა დიდი კმაყოფილება.




25 წლის განმავლობაში „კოხტა-1“ მუშაობს საიმედოდ და ემსახურება არა მარტო საქართველოს, არამედ ბევრი სხვა ქვეყნის სამთო-სათხილამურო სპორტის მოყვარულებს.

„კოხტა-1“ ფეხბედნიერი გამოდგა – ბაკურიანში ჩვენი დიდი ქველმოქმედის, ბიზნესმენისა და მეცენატის ბიძინა ივანიშვილის შემწეობით, ასევე პირველად ყოფილი სსრ კავშირის ტერიტორიაზე, დაპროექტდა და აშენდა მსოფლიო დონის ავტომატიზებული გონდოლური ტიპის სამგზავრო ბაგირგზა, დამზადებული იტალიური ფირმის „ლეიტნერის“ მიერ, დიდველის მიდამოებში. ბატონმა ბიძინამ მასვე მიაყოლა ავსტრიული ფირმის „დოპელმაიერის“ მიერ დამზადებული ავტომატიზებული მაღალმწარმოებლური სავარძლიანი ტიპის ბაგირგზის მშენებლობა.

ფაქტობრივად, ამ ბაგირგზებმა საფუძველი ჩაუყარეს ბაკურიანის საერთაშორისო სამთო-ტურისტულ-სათხილამურო ცენტრად გადაქცევას.

მივესალმებოდით, თუ ბატონ ბიძინა ივანიშვილს გამოუჩნდებიან მიმდევრები – სხვა ქველმოქმედი ბიზნესმენებიც – ბაკურიანი, და არა მარტო ის საქართველოში, ამისთვის მეტად ხელსაყრელი და პერსპექტიული ბაზაა.

**ზურაბ ლომიძე.**

ⓞ ტერენტი გრანელის უკვდავყოფა

# პოეტის შინ დაბრუნება

**2009 წლის 10 ოქტომბერი, წალენჯიხა. ტერენტი გრანელის დღეები...**

დღეს ქალაქში ტერენტი გრანელი ბრუნდება... ანგელოზის ფრთებით, ქვაში ნაკვეთ ქანდაკად...

– თითქმის საუკუნოვანი ხეტიალის შემდეგ ტერენტი, ბოლოს და ბოლოს, დაბრუნდა თავის მშობლიურ წალენჯიხაში, დაბრუნდა ძეგლად და უკვდავებად, – წერს მწერალი ვახტანგ ხარჩილავა.



წალენჯიხელებს ბევრი რამ გაუკეთებიათ ტერენტი გრანელის პატივსაცემად“ – გაიმართა შემოქმედებითი კონკურსები; ნახატების გამოფენა; აღსდგა „ტერენტის წყარო“, წალენჯიხის №2 საჯარო სკოლაში გაიხსნა ტერენტი გრანელის განახლებული სახლ-მუზეუმი; კინოთეატრში გაიმართა საზეიმო სალამო...

ზეიმის აპოთეოზი იყო ტერენტი გრანელის ძეგლის გახსნა.

– მადლობა იმ ადამიანებს, ვინც ტერენტის სახლში დაბრუნებაში დაეხმარა, – კვლავ ბატონ ვახტანგს დავესესხები...

ძეგლის ავტორია მოქანდაკე უშანგი ქადაგიშვილი.

– კვარცხლბეკის ქვა მოიძია და რაიონს უსასყიდლოდ გადასცა მწერალმა ოტია იოსელიანმა, რომლის გულმოდგინებამ საერთოდაც, დიდად განაპირობა ქალაქ წალენჯიხაში ტერენტი გრანელის ძეგლის აღმართვა, – წერს ერთჯერადი გაზეთი „ტერენტი გრანელი“, რომელიც წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის დადგენილებით გამოცემულა.

მრავალფეროვანი, უაღრესად საინტერესო დიდი ტაქტითა და გემოვნებით შედგენილი გაზეთის რედაქტორია ბატონი თამაზ ფიფია.

სპელეოლოგი და ჟურნალისტი ჯუმბერ ჯიშკარიანი ათ წელს ცხოვრობდა აშშ-ში, ის ახლახან დაბრუნდა სამშობლოში. მან ნიუ-იორკში მცხოვრები ჩვენი თანამემამულის, ცნობილი მხატვრის ცისანა ჯანაშვილის მიერ შესრულებული ტერენტი გრანელის შესანიშნავი ფერწერული ტილო ჩამოიტანა.

ეს სურათი 2009 წლის სამ ოქტომბერს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში მიიტანა, მწუხარე სერაფიმის, ტერენტი გრანელის საფლავზე.

იმ დღეს წალენჯიხელთა დელეგაციამ, თანაქალაქელი დიდი პოეტის საფლავი გვირგვინით შეამკო.

დიდუბეში, ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის დეკანოზმა, მამა დავითმა (ჩიტიძემ) ტერენტი გრანელის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი აღავლინა. მანვე აკურთხა ამერიკიდან ჩამოტანილი ტერენტი გრანელის პორტრეტი.

ათ ოქტომბერს, მხატვრის სურვილისამებრ, ჯუმბერ ჯიშკარიანმა სურათი წალენჯიხაში, ტერენტი გრანელის განახლებულ სახლ-მუზეუმს გადასცა.

ოციან წლებში, ტერენტის გრაფიკული პორტრეტი დიდოსტატმა ლადო გუდიაშვილმა შეასრულა.

წალენჯიხაში, ტერენტის მუზეუმში, ექსპოზიცია სწორედ იმ პორტრეტით იხსნება.

ტერენტი გრანელის სახლ-მუზეუმის დირექციამ ცისანა ჯანაშვილის მიერ მუზეუმისათვის მიძღვნილ ტერენტი გრანელის პორტრეტს ლადო გუდიაშვილის ნამუშევრების გვერდით მიუჩინა ბინა.

**ივანე ჯაფარიძე.**

**სურათზე: ცისანა ჯანაშვილის „ტერენტი გრანელი“.**

ⓞ წარდგენა

# „და მაინც ერთი ხმიადი მყოფნის“...

**გამომცემლობა „ინტელექტი“ ახალი და საინტერესო ლიტერატურული წიგნებით რომ ხშირად ანებივრებს საზოგადოებას, ეს უცხო არ არის. სერიით „100 ლექსი“ უკვე 50 ტომი მიიღო მკითხველმა. ამჯერად „ინტელექტმა“ ცნობილ პოეტს ზაალ ებანოიძეს უმასპინძლა, რომლის „100 ლექსის“ წარდგენა გამომცემლობა „ინტელექტში“ გაიმართა. ახალი ტომის შემდგენელი და რედაქტორია მწერალი ჯემალ მეხრიშვილი.**

ჯემალ მეხრიშვილმა აღნიშნა, რომ ზაალ ებანოიძის ლექსებში ყოველ ნაბიჯზე გვხვდება სახეები, ფერები, ხმები, ბუნების ნატეხები, რომლებსაც ჩვენც ვგრძნობთ, განვიცდით, ვხედავთ, გულით ვატარებთ: „პოეტური გზებით მოსიარულე შემოქმედის ყოვედღიური საფიქრალ-საზრუნავი, სულიერი ტკივილები, გაუბედურებული სამშობლოს ბედ-იღბალი, მშობლიური ფშანების სევდა თუ სიკვდილ-სიცოცხლის პოეტურ-ფილოსოფიური ჭვრეტა ისეთი ადამიანური დამაჯერებლობითაა გაცხადებული, რომ თვითონ ავტორი სტრიქონებშუა შეუმჩნევლად ქრება, მკითხველი კი დაუვიწყარი მხატვრული სახეების პირისპირ მარტოკა რჩება“.



ზაალ ებანოიძის ლექსებს არა მარტო ქუთაისში იცნობენ (პოეტი აქ ცხოვრობს და მოღვაწეობსძ და კითხულობენ, არამედ – მთელ საქართველოში. იგი 50-იან წლებში გამოვიდა შემოქმედებით ასპარეზზე, 1973 წელს კი პირველი წიგნი გამოსცა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გალაკტიონისა და ლადო ასათიანის სახელობის პრემიის მფლობელი და ღირსების ორდენოსანია. ზაალ ებანოიძის გამორჩეულობას განაპირობებს თანდაყოლილი ნიჭიერება, პოეტური თავისებურება, ცხოვრებისეული გამოცდილება... ჯემალ მეხრიშვილის თქმით, ზაალ ებანოიძის ლექსებში აქა-იქ ნაპკური სისხლის წვეთები პოეტის მთრთოლვარე გულიდან გადმონაჟონი ნამდვილი სისხლია...

პრეზენტაციაზე სიტყვით გამოვიდა და პოეტს წარმატება მიულოცა გამომცემლობა „ინტელექტის“ დირექტორმა კახმეგ კუდავამ. მისი თქმით, ამ სერიაში შემავალი წიგნები არ არის აკადემიური გამოცემა. ეს არის უბრალო ხალხისთვის, რომელიც მოსწონს მკითხველს და თავად ავტორსაც.

ჩვენთვის მთავარია, რომ ეს წიგნები ახალგაზრდებმა კარგად გაითავისონ და მათთვის საინტერესო გავხადოთ – განმარტა კახმეგ კუდავამ. მერე დასძინა, ვფიქრობ, დღეს გამომცემლობაში ქუთაისის ზეიმიაო.

ზაალ ებანოიძეს აქვს ასეთი სტრიქონი:

**„და მაინც ერთი ხმიადი მყოფნის**
**და ერთი ჭიქა ზედაშით ვთვრები“,**

– ამ მრწამსით იცხოვრა, და ეს „100 ლექსიც“ შემოქმედების მწიფობისჟამს ერთი ჭიქა ზედაშესავით გულით გვიწყალობა.

**ხატია მუსერიძე**


# განცხადება

**2010 წლის 25 მარტს 12 საათზე დედოფლისწყაროს რ-ნი სოფ. ზემო ქედის კულტსახლში გაიმართება მეორე აუქციონი სს კოოპერატივ „ზემო ქედის“ სამეურვეო ქონებასთან დაკავშირებით.** მოვალე სს კოოპერატივი „ზემო ქედი“. სამეურვეო ქონება ინახება სოფ. ზემო ქედში. აღნიშნულ ქონებას წარმოადგენს ობელისკი, ავტომანქანები და სხვა. სამეურვეო ქონების საწყისი ფასი განისაზღვრება საექსპორტო დასკვნის შესაბამისად.

**აუქციონის პირობების დასაზუსტებლად მიმართეთ გაკოტრების მმართველ ზურაბ ბაშარულს, ტ: 899-24-36-85.**

**2010 წლის 25 მარტს 12 საათზე დედოფლისწყაროს რ-ნის სოფ. ზემო მაჩხაანის კულტსახლში გაიმართება მეორე აუქციონი სს კოოპერატივ „თელაწყლის“ სამეურვეო ქონებასთან დაკავშირებით.** მოვალე სს კოოპერატივი „თელაწყალი“ სამეურვეო ქონება ინახება სოფ. ზემო მაჩხაანში. აღნიშნულ ქონებას წარმოადგენს გაზიფიკაციის მოწყობილობა, სამოქალაქო თავშესაფარი და სხვა. სამეურვეო ქონების საწყისი ფასი განისაზღვრება საექსპორტო დასკვნის შესაბამისად.

**აუქციონის პირობების დასაზუსტებლად მიმართეთ გაკოტრების მმართველ ალიკო ნატროშვილს, ტლ. 899 42 15 43.**

**2010 წლის 25 მარტს 12 საათზე დედოფლისწყაროს რ-ნი სოფ. ზემო მაჩხაანის კულტსახლში გაიმართება მეორე აუქციონი სს კოოპერატივ „ფიროსმანი-1“-ის სამეურვეო ქონებასთან დაკავშირებით.** მოვალე სს კოოპერატივი „ფიროსმანი-1“. სამეურვეო ქონება ინახება სოფ. მირზაანში. აღნიშნულ ქონებას წარმოადგენს კულტურის სახლი, კონტორის შენობა და სხვა. სამეურვეო ქონების საწყისი ფასი განისაზღვრება საექსპორტო დასკვნის შესაბამისად.

**აუქციონის პირობების დასაზუსტებლად მიმართეთ გაკოტრების მმართველ ალიკო ნატროშვილს, ტ. 899 42-15-43.**

**2010 წლის 25 მარტს 12 საათზე დედოფლისწყაროს რ-ნის სოფ. ზემო მაჩხაანის კულტსახლში გაიმართება მეორე აუქციონი სსს „ზემო მაჩხაანის“ სამეურვეო ქონებასთან დაკავშირებით.** მოვალე სსს „ზემო მაჩხაანი“. სამეურვეო ქონება ინახება სოფ. ზემო მაჩხაანში. აღნიშნულ ქონებას წარმოადგენს კულტურის სახლი, დიზელ-გენერატორი და სხვა. სამეურვეო ქონების საწყისი ფასი განისაზღვრება საექსპორტო დასკვნის შესაბამისად.

**აუქციონის პირობების დასაზუსტებლად მიმართეთ გაკოტრების მმართველ ალიკო ნატროშვილს, ტ. 899 42-15-43.**

◉ წლები

***გამოჩენილ ადამიანთა შორის თამამად შეგვიძლია დავასახელოთ მსოფლიოში აღიარებული მეცნიერ-ქიმიკოსი და განსწავლული წამალთმცოდნე პროფესორი აკაკი გახოკიძე.***

***ა. გახოკიძე დაიბადა სოფელ ხუნწში (მარტვილის რაიონი), პირველდაწყებითი განათლება მიიღო ჯერ მშობლიურ სოფელში, შემდეგ მარტვილის შვიდწლიან სკოლაში.***

***1924 წელს შედის თბილისის მელიქიშვილის სახელობის ქიმიურ ტექნიკუმში და ამთავრებს 1928 წელს.***

***1928-1932 წ.წ. ა. გახოკიძემ მიიღო უმაღლესი განათლება თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.***

***ჩვენი მიზანია წარმოვაჩინოთ მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერ-ქიმიკოსი, გამოჩენილი ქართველი მამულიშვილი, თავის ხალხზე და ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული, პროფესორი აკაკი გახოკიძე, რომელმაც თავისი ორიგინალური აღმოჩენებით გაამდიდრა ქიმიური მეცნიერება. მისთვის უპირველესი დარგი იყო ნახშირწყლების ქიმია. მიუხედავად ამისა, მან თავისი წონადი სიტყვა თქვა ნავთობისა და ფარმაცევტულ ქიმიაშიც.***

***ცალკე აღნიშვნის ღირსია ა. გახოკიძის დამსახურება საქართველოში შაქრის წარმოების საქმეში. ა. გახოკიძე საქართველოში შაქრის წარმოების საკითხებით ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დაინტერესებულა.***

# ქიმიის მეცნიერების კლასიკოსი

## ქართველი მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის, პროფესორ აკაკი გახოკიძის დაბადების 100 წლისთავის გამო



> „სავალდებულო არ არის თვალსაჩინო მეცნიერი დიდი ადამიანიც იყოს, მაგრამ ღირსეული მასწავლებელი არ შეიძლება არ იყოს დიდი ადამიანი.“
>
> კაპიცა

ფართო და მრავალმხრივი იყო პროფესორ ა. გახოკიძის მეცნიერული მოღვაწეობის სფერო. მან ყოფილ საბჭოთა კავშირის მეცნიერებს შორის ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო კვლევა ნახშირწყლების ქიმიაში და ფრიად მნიშვნელოვანი შედეგებიც მოიპოვა. ა. გახოკიძის პირველივე მეცნიერული ნაშრომის შედეგები, რომელიც ნახშირწყლების იზომერიზაციის საკითხებს ეხება, შესულია მსოფლიოს მრავალი ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლებისათვის განკუთვნილ ბევრ სახელმძღვანელოში. ა. გახოკიძემ დაამუშავა ახალი ტიპის ნახშირწყლების მიღების ორიგინალური მეთოდი, რომელიც მსოფლიო სამეცნიერო ლიტერატურაში „გახოკიძის სინთეზის“ სახელწოდებით არის ცნობილი. ამ მეთოდით მან პირველმა მიიღო უცნობი დისაქარიდები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სასიცოცხლო პროცესებში. მათ იყენებენ ავთვისებიან სიმსივნეთა საწინააღმდეგოდ მაღალი აქტიურობისა და სხვა სასარგებლო თვისებების გამო. უცხოეთის ფირმები სამრეწველო მასშტაბით აწარმოებენ ამ ნივთიერებებს, რომლებიც ძვირადღირებული ქიმიური ნაერთებია. მაგალითად, ერთ-ერთი მათგანი – ლამინარიბიოზა კილოგრამი 30 მილიონ ლარამდე ღირს (ქიმიურ ნაერთთა საერთაშორისო კატალოგ „სიგმას“ მიხედვითძ. ა. გახოკიძემ პირველმა გამოიყენა საქართველოში ბუნებრივი ბენტონიტური თიხები ნახშირწყლების იზომერიზაციის რეაქციებში და დაამუშავა ჰიდროქსიმჟავების სინთეზის ახალი მეთოდი.

1961 წელს ავსტრიაში, ქ. ვენაში ჩატარდა საერთაშორისო კონგრესი ბუნებრივ ნაერთთა ქიმიაში, სადაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან მონაწილეობდნენ იმ დროისათვის აღიარებული მეცნიერები. საქართველოს დელეგაცია წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო აკადემიკოს პ. ქომეთიანის, აკადემიკოს ს. დურმიშიძისა და პროფესორ ა. გახოკიძის მონაწილეობით. აი, როგორ იგონებს ამ კონგრესში მონაწილე აკად. ს. დურმიშიძე: „აკაკი ავადმყოფობის გამო კონგრესს ვერ დაესწრო. კონგრესის გახსნამდე ჩვენთან მოვიდა გამოჩენილი გერმანელი მეცნიერი კარლ ფრეიდენბერგი და იკითხა, სად არის საბჭოთა დელეგაციაო. ჩვენ თავი წარვუდგინეთ. მე პროფესორ გახოკიძეს ვეძებო. მან პირველმა მსოფლიოში განახორციელა ახალი ტიპის დისაქარიდების სინთეზი, რაც მე და ჩემმა მასწავლებელმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა ემილ ფიშერმა ვერ შევძელითო.“ აი, ამ აღმოჩენამ მოუპოვა ფართო აღიარება როგორც მეცნიერს, მსოფლიო მასშტაბით. ახალი ტიპის დისაქარიდების სინთეზის განხორციელებით პროფესორ ა. გახოკიძემ კიდევ უფრო შორს წასწია ქიმიური მეცნიერება.

დიდ თეორიულ და პრაქტიკულ ინტერესს იწვევს ა. გახოკიძის გამოკვლევები, რომლებიც ეძღვნება საქართველოს ნავთობის შესწავლას. მან შეისწავლა მირზაანის, სუფსის, შირაქის ნავთობთა ფიზიკურ-ქიმიური თვისებები.

პროფესორმა ა. გახოკიძემ ორიგინალური თვალსაზრისი გამოთქვა ნავთობის წარმოშობის თეორიის დარგშიც. მან პირველმა მიიღო სინთეზურად გლუკოზიდან ბენზინის შემადგენელი ნივთიერება იზოოქტანი.

ქართველი მეცნიერის, ნახშირწყლების ქიმიის ქართული სკოლის ფუძემდებლის, პროფესორ აკაკი გახოკიძის ჰიპოთეზა ნავთობის წარმოშობის შესახებ უდავოდ იმსახურებს დიდ ყურადღებას.

1942 წელს ჟურნალი „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბის“ მეექვსე ნომერში გამოქვეყნდა ა. გახოკიძის ნაშრომი „2-მეთილპენტანის სინთეზი გლუკოზიდან“, რომელიც, ჩვენი აზრით, რამდენიმე მიზეზის გამო განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. უპირველეს ყოვლისა ექსპერიმენტული ქიმიის დარგში იშვიათი გამონაკლისია ნაშრომი, რომელსაც მხოლოდ ერთი ავტორი ჰყავდეს, – იდეაც, მისი ექსპერიმენტული რეალიზაციაც და დასკვნებიც ერთ პიროვნებას ეკუთვნოდეს.

სტატიის გამოქვეყნების თარიღი ცალსახად მიგვანიშნებს, რომ ავტორი ქართველ ქიმიკოსთა შორის პირველია, ვინც დაინტერესდა ნავთობის პრობლემით საქართველოში.

წლებმა არაერთხელ დაადასტურა ა. გახოკიძის შეხედულების სისწორე. მე-20 საუკუნის ბოლოსთვის ეს მოსაზრება ბიოქიმიურად იქნა დამტკიცებული კანადელი მეცნიერების მიერ, რომლებმაც შეისწავლეს კანადაში სასკაჩევანის ტბაში არსებული მიკროორგანიზმები და დაადგინეს, რომ მათი ერთ-ერთი სახეობა ახდენს ნახშირწყლების გარდაქმნას ნავთობის მსგავს ნახშირწყალბადების ნარევად.

ამგვარად, ქართველი მეცნიერის მიერ ექვსი ათეული წლის წინათ წამოყენებულმა ჰიპოთეზამ კიდევ ერთი დადასტურება ჰპოვა მსოფლიოში. ამ სამეცნიერო მიმართულების განვითარებას მომავალში კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა მიენიჭება. როგორც ცნობილია, ნავთობის მარაგი სწრაფი ტემპით კლებულობს და დღის წესრიგში უკვე მწვავედ დგება იაფი ბუნებრივი ნედლეულისაგან ბენზინის ხელოვნურად მიღების პრობლემა.

ა. გახოკიძემ სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნარჩენებისაგან (მზესუმზირას ჩენჩო, ტუნგისა და ბამბის კოპტონი, სიმინდის ნარჩენებიძ გამოყო სალებავი და ტრიჰიდროქსიგლუტარის მჟავა, რომლებმაც გამოყენება ჰპოვა საფეიქრო და ფარმაცევტულ მრეწველობაში, ტყავის წარმოებაში.

პროფ. ა. გახოკიძე გასაოცარი ინტუიციით, დიდი ნიჭითა და ფანტაზიით დაჯილდოებული მეცნიერ-მკვლევარი იყო. ამასთან დაკავშირებით, აკად. ვ. პარკაძე იხსენებს ერთ-ერთ ფაქტს. „ბატონმა აკაკი გახოკიძემ საინტერესო კვლევა ჩაატარა საქართველოს მცენარეული საფარის შესწავლის მიზნით. მან მცენარე გლედიჩიისაგან, რომელიც კამოს ქუჩაზე მდებარე ქიმიის ინსტიტუტის ეზოში იზრდებოდა (სადაც ბატონი აკაკი მუშაობდაძ, გამოყო ორი პიგმენტი და მათ აკრამერინი და ოლმელინი უწოდა. მეცნიერმა შეისწავლა ეს პიგმენტები, დაადგინა მათი სტრუქტურა, სინთეზურადაც მიიღო და კვლევის შედეგები სამეცნიერო ლიტერატურაშიც გამოაქვეყნა.“

აღნიშნული შრომის გამოქვეყნების შემდეგ „.ინდოეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, შაჰ არდიმ აკრამერინი და ოლმელინი სხვა მცენარეებისგანაც გამოყო და წერილობით მიმართა საბჭოთა კავშირის ელჩს ინდოეთში: გთხოვთ, დაუკავშირდეთ დოქტორ გახოკიძეს და გაიგოთ, რა ლათინური საფუძველი დაედო აკრამერინისა და ოლმელინის სახელწოდებებს“. სახელწოდების საფუძველი წმინდა ქართული და თანაც პირადული მოსაზრებიდან გამომდინარეობდა: სახელწოდებას აკრამერინს მეცნიერმა საფუძვლად დაუდო მისი, ვაჟიშვილის და მეუღლის სახელების პირველი მარცვლები (აკ-აკი, რამაზი, მ-ერიძ, ხოლო რაც შეეხება პიგმენტ ოლმელინს, თავისი მშობლების (ოლ-იასა და მელი-ტო-ნისძ პატივსაცემად დაარქვა სახელწოდება.

დიდია აკაკი გახოკიძის დამსახურება კლინიკურ ფარმაციაში. მან შექმნა ახალი ჯგუფი სამკურნალო პრეპარატებისა, მიიღო სტრეპტოციდისა და ასპირინის წყალში ხსნადი ფორმები. პირველმა გამოიყენა ნახშირწყლები სხვადასხვა წამლის ტოქსიკურობის შემცირებისა და მათი მოქმედების ეფექტურობის გაზრდის მიზნით. შემდგომში ამ მიმართულებამ ფართო გამოყენება ჰპოვა ფარმაცევტულ და სამედიცინო გამოკვლევებში.

ვსაუბრობთ რა პროფესორ ა. გახოკიძეზე, როგორც ქიმიკოსზე და მის დამსახურებაზე ქიმიაში, არ შეიძლება არ დავეთანხმოთ საქართველოს ქიმიკოსთა საზოგადოების თავმჯდომარეს, პროფესორ შოთა სიდამონიძეს: „პროფესორმა აკაკი გახოკიძემ ღრმა ხნული გაავლო ქიმიურ მეცნიერებაში, თავისი მაძიებელი და ანალიტიკური გონების წყალობით გაუსწრო დროს“.

პროფესორ ა. გახოკიძის ფუნდამენტურ გამოკვლევებს საერთაშორისო აღიარება აქვს. მისი შრომები ფართოდ არის წარმოდგენილი რუსეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, იაპონიის და მრავალი სხვა ქვეყნის სახელმძღვანელოებსა და მონოგრაფიებში.

ნაყოფიერ მეცნიერულ მოღვაწეობას პროფ. ა. გახოკიძე ჩინებულად უთავსებდა ქიმიკოსთა ახალგაზრდა თაობის აღზრდას, რასაც დიდი გულმოდგინებით ეწეოდა თითქმის სამი ათეული წლის მანძილზე.

პროფესორ ა. გახოკიძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების შექმნის საქმეში. გამოსცა ორგანული ქიმიის კურსი, ორგანული და ბიოლოგიური ქიმიის სახელმძღვანელო, პრაქტიკუმი ქიმიის სხვადასხვა დარგში. სისტემატურად აქვეყნებდა მეცნიერულ-პოპულარული ხასიათის სტატიებს. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი წიგნი „ქიმია ადამიანის სამსახურში“.

ა. გახოკიძემ შექმნა ქიმიური ტექნოლოგიის სახელმძღვანელო, მონოგრაფია „ნახშირწყლების აგებულება“ და ნახშირწყლების ვრცელი ორიგინალური ცნობარი ექვს ტომად, რომელთა გამოცემას, სამწუხაროდ, იგი ვერ მოესწრო.

ბატონი აკაკის გზას ღირსეულად აგრძელებს მისი შვილი რამაზ გახოკიძე, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მრავალი აკადემიისა და სამეცნიერო საზოგადოების წევრი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. ბაბუის გზას გაჰყვა ბატონი რამაზის შვილი, აკაკი გახოკიძე, ქიმიის აკადემიური დოქტორი, რამდენიმე სახელმძღვანელოს ავტორი ბიოორგანულ ქიმიაში.

პროფესორმა ა. გახოკიძემ განვლო ჭეშმარიტი მეცნიერისა და ღირსეული პედაგოგის უჩრდილო გზა. იგი გარდაიცვალა 1964 წელს, 54 წლის ასაკში, მაგრამ ხანმოკლე სიცოცხლეშიც მეცნიერმა თავისი ნათელი გონებით, უდიდესი შრომისუნარიანობითა და მეცნიერებისადმი ერთგულებით ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა სახელოვან ქართველ მამულიშვილთა შორის.

პროფესორ ა. გახოკიძის მიმართ მისი სამშობლოს, მისი ერის სიყვარულის დამადასტურებელია თუნდაც ის, რომ თბილისში ერთ-ერთ ქუჩას მინიჭებული აქვს მისი სახელი, ხოლო მის მშობლიურ მარტვილში, რაიონის ინტელიგენციის მოთხოვნით, ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩას და სკოლას სოფ. ხუნწში მიენიჭა პროფესორ აკაკი გახოკიძის სახელი.

**თენგიზ წივწივაძე,**
პროფესორი;

**რევაზ სხილაძე,**
პროფესორი.

◉ ინფორმაცია

## ადვოკატმა თითქმის გაამართლა

**დიდი** ოდენობით ყალბი ვალუტის დამზადება-გასაღებაში ბრალდებული ვასილ შ., რომლის ინტერესებს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის კახეთის ბიუროს ადვოკატი მანანა თანდაშვილი იცავდა, ნაწილობრივ გამართლდა.

ვასილ შ.-ს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ორ ეპიზოდში ედებოდა. მას სასჯელის სახით 15 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა და 10 ათასი ლარის ოდენობით ჯარიმა ემუქრებოდა. საზოგადოებრივმა ადვოკატმა პროკურორის ეს პოზიცია არ გაიზიარა. მანანა თანდაშვილმა თავის დაცვის ქვეშ მყოფის უდანაშაულოდ ცნობა და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა მოითხოვა.

თელავის რაიონულმა სასამართლომ განსასჯელი დამნაშავედ მხოლოდ ერთ ეპიზოდში სცნო. საზოგადოებრივი ადვოკატის ძალისხმევით ვასილ შ. წაყენებული ბრალდების მეორე ეპიზოდში გამართლდა და მას, საბოლოოდ, სასჯელის სახით 5 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა დაენიშნა.

## სასკოლო ინფრასტრუქტურის განვითარების გენერალური გეგმის შემუშავება დაიწყო

სასკოლო ინფრასტრუქტურის განვითარების გენერალური გეგმის შემუშავება დაიწყო. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ მიერ ორგანიზებული, გუშინ გამართული სემინარი საქართველოს მასშტაბით სასკოლო ინფრასტრუქტურის განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავების საკითხებს შეეხო. სემინარის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ აკაკი სეფერთელაძემ, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ადგილობრივი ხელისუფლების, საგანმანათლებლო რესურსცენტრებისა და საჯარო სკოლების წარმომადგენლებმა.

სემინარის მსვლელობაში განხილული იქნა სასკოლო ინფრასტრუქტურის განვითარების დაგეგმვის საკითხები. გარდა ამისა, სააგენტოს მიერ, პროგრამა World Learning/Forecast-ის ფარგლებში, USAID - ის დაფინანსებით, დაქირავებულმა საერთაშორისო კომპანია MGS-ის კონსულტანტებმა სემინარის მონაწილეებს პრეზენტაცია სახელწოდებით: „სასკოლო ინფრასტრუქტურის განვითარების გენერალური გეგმა“ წარუდგინეს.

როგორც ცნობილია, პროექტი ხორციელდება საერთაშორისო ორგანიზაცია World Learning/Forecast Georgia-ის მიერ, USAID-ის დაფინანსებით.

სააგენტოსა და აღნიშნულ ორგანიზაციას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ხელი 2009 წლის 4 დეკემბერს მოეწერა. ერთწლიანი პროექტის მიზანია: ადგილობრივ ხელისუფლებასა და რესურსცენტრებთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე სასკოლო ინფრასტრუქტურის გენერალური გეგმისა და თანამედროვე სკოლის სამშენებლო და სარეაბილიტაციო სტანდარტების შემუშავება.

ჯი-ეიჩ-ენი

№ 45. ხუთშაბათი, 11 მარტი, 2010 წელი.

## ინფორმაცია განსჯისთვის

# აქა ამბავი რუსი დარტანიანისა და ევროპელი სამი მუშკეტერისა,

## ანუ რა ქნას პეპელამ?

**ბარაკ ობამა რევოლუციის ფარული აგენტი, ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მემარცხენე ბლოკის წარმომადგენელი და, – შესაძლოა, სულაც მუსულმანია, – ვკითხულობთ ელისეო ბაიოს, ესპანელი ექსპერტის ერთ-ერთ წერილში**

ბარაკ ობამას გაპრეზიდენტებით ამერიკის ცხოვრებაში თითქოს ახალი ერა დაიწყო, თუმცა ექსპერტთა აზრით ბევრი არაფერი შეცვლილა, – წავიდნენ ნეოკონსერვატორები და ძალაუფლება აღიდგინა ე. წ. „სამმხრივმა კომისიამ", რომელსაც ყველა იმ უბედურებაში ედება ბრალი, რაც ბოლო წლებში გადახდა მსოფლიოს. „ხელისუფლებაში ძველი, უკვდავი „მონსტრები" დაბრუნდნენ, ისეთები როგორებიც არიან ბჟეზინსკი და სოროსი. ეს ის კომანდაა, რომელიც ძირშივე ეწინააღმდეგება ბუნებრივ ისტორიულ განვითარებას", – ნათქვამს ელისეო ბაიოს ანალიტიკურ წერილში, სადაც ამერიკის გრძელვადიან გათვლებზეა საუბარი და ამიტომაც უპრიანია მისი ფართოდ გახმიანება. „სამმხრივი კომისია" თეთრ სახლში ჯიმი კარტერთან ერთად მოვიდა, რომელსაც აფრიკის კონტინენტზე მოსახლეობის რაოდენობის შემცირება ბრალდება; ბჟეზინსკის „დამსახურება" ირანსა და ერაყს შორის ომის პროვოცირება და სსრკ-ის ავღანეთში შეჭრაა, მსოფლიოს დღევანდელი „ტურბულენტური" მდგომარეობის შექმნა კი „სამმხრივი კომისიის" კიდევ ერთ წარმომადგენლის – ვოლკერის „კისერზეა". კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთების 22%-მდე აწევამ, ექსპერტთა აზრით, არა მარტო ამერიკის, არამედ, რიკოშეტით, ევროპის საწარმოო ინფრასტრუქტურაც იმ კრიზისულ რელსებზე შეაყენა, რომლითაც, პარადოქსია, მაგრამ საბოლოო ჯამში, მხოლოდ დიდი ქვეყნები ხეირობენ.

ახალი იმპერიალიზმის მთელი არსი რუსეთის და ჩინეთის შეკავებაში მდგომარეობს, – თვლიან ექსპერტები და ამით ხსნიან აშშ-ს მოღვაწეობას ახლო აღმოსავლეთსა და „შუაგულ ევროპაში". არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსეთის მსოფლიო ჰეგემონიის აკვიატებული იდეის იდენტურია მსოფლიო ჰეგემონიის „ამერიკული მუდმივაც", – მსოფლიო წესრიგის საკუთარი მოდელის დასამკვიდრებლად პატარა ქვეყნების პლაცდარმად გამოყენება და ორ ქვეყანას შორის იმგვარი დაპირისპირების პროვოცირება, რომლითაც მხოლოდ მისი მოკავშირე ქვეყანა იგებს, – ეს ის მექანიზმებია, რომლითაც, ელისეო ბაიოს აზრით, ხელმძღვანელობენ ოკეანის გაღმა. ვინძლო ეს ვარაუდი სწორიც იყოს თუ გავიხსენებთ, რომ ამერიკელებმა სწორედ ამ პრინციპით და ალ-ყაიდას დაბომბვის საბაბით მიაყენეს დარტყმა ჯერ ერაყს, შემდეგ პაკისტანს. 11 სექტემბრის ტერაქტი რომ აშშ-ის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის „წარმატებული პროექტი" და ერაყისთვის მოწყობილი „საზარელი შოუ" იყო, უკვე ნოემბერშივე ვწერდი „საქართველოს რესპუბლიკაში" და ჩემს საავტორო გაზეთ „დედაქალაქის" ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში – „ახალი ამერიკული ომი თუ ომი ახალი ამერიკისთვის"? (2001 წ. 8 ნოემბერი). მას შემდეგ – აქტუალურია ტერორისტების ძებნა და ძებნა მთელი მსოფლიოს მასშტაბით. საბავშვო თამაში მახსენდება – „კაზაკი-რაზბოინიკი", – კარგია, თუ „კაზაკი" ხარ, მაგრამ თუ „რაზბოინიკად" შეგრაცხეს, დღევანდელ მსოფლიოში, უბრალოდ, აღარ დაგედგომება.

ასე რომ, ბარაკ ობამას ერთი შეხედვით მარტივი და უშუალო პიროვნება უფრო ღრმად და სწორედ ამ კუთხითაცაა საკვლევი, რადგან დღეს მის გადაწყვეტილებებზე ბევრადაა დამოკიდებული ისეთი პატარა და უსუსური ქვეყნის ბედი, როგორიც საქართველოა. მაინც ვინ არის იგი და „ვის თამაშს თამაშობს" ფერადი ამერიკის ფორმით და შინაარსით ფერადი პრეზიდენტი?

ელისეო ბაიოს აზრით, ობამა „დავერბოვკებული" იყო ბჟეზინსკის მიერ ჯერ კიდევ კოლუმბიის უნივერსიტეტიდან, – სწორედ აქ შევიდა ის კონტაქტში ე.წ. „სამმხრივ კომისიასა" და ბილდერბერგის კლუბთან, რომლის ერთ-ერთი იდეოლოგიც ნეოლიბერალი ჯოზეფ ნაი გახლდათ. სწორედ მან დააახლოვა ობამა ფორდის ფონდთან, რომელიც ფინანსური ოლიგარქიის სამსახურში მდგარი ყველაზე კონსერვატიული ორგანიზაციაა აშშ-ში. დღესდღეობით, სწორედ ჟოზეფ ნაია ობამას მთავარი მრჩეველი იდეოლოგის საკითხებში. ბარაკ ობამას დედა სტენლი ენ დანჰემი, რომელიც თითქოსდა კომუნისტური იდეოლოგიისკენაა მიდრეკილი, ასევე დაკავშირებულია სადაზვერვო სამსახურებთან, - იგი მუშაობდა ფორდის ფონდსა და მსოფლიო ბანკში, მაშინ როცა მისი შვილი, თავის, უმეტესად მუსლიმან მეგობართაგან ერთ-ერთთან – რაშიდ ხალიდთან ერთად, რომელიც პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის წევრი და იასერ არაფატის პრეს-მდივანი გახლდათ, გამალიელის ფონდში მოღვაწეობდა. აქვე შეგახსენებთ ბიბლიაზე ობამას დაფიცებასთან დაკავშირებულ კაზუსს. მისი ერთ-ერთი მეგობარი ტონი რეზკო, ალეპოში დაბადებული წარმატებული არაბი მეწარმე და ილინოისის ამერიკული ისლამური დაჯგუფების ლიდერი იყო, რომელიც ნაწილობრივ აფინანსებდა კიდეც მის საარჩევნო კამპანიას და რომელსაც შემდეგ ბრალი დასდეს ტყუილში. შემდეგ იყო ტალატ ოტმანი, იმავე დაჯგუფებიდან და ვალერია ჯალეტი, რომელთანაც ობამას, მისივე სიტყვებით, 20 წლის მეგობრობა აკავშირებს (იგი შირაზში, ირანში დაიბადა), – ობამა ამ ქალბატონთან კონსულტაციების გარეშე დღესაც ნაბიჯსაც არ დგამს თურმე.

ერთი სიტყვით, მუსულმანური სამყაროს ფაქტობრივი გამგებლები ანუ მისი რადიკალური ფრთა რომ ამერიკის ელიტასთან მჭიდროდ დაახლოებული იყო ყოველთვის, არც ახალია და არც ცუდი, რადგან ყოველგვარი ურთიერთობა, ჩვენი ოპოზიციის რუსეთთან კავშირის დამყარების მცდელობისა არ იყოს, ისევე აუცილებელია, როგორც ჰაერი. საკითხავი სხვაა, – ეს ურთიერთობა პარიტეტულ, ცივილურ საწყისებზე წარიმართება მომავალში, თუ რუსეთის სიკეთისა არ იყოს (რომელსაც ლომის წილი აქვს მუსლიმანური ქვეყნების „შუასაუკუნეებში ჩატოვების" საქმეში) ისევ მუსლიმანური სამყაროს „ჩადრსმილმა" დატოვებაში გამოიხატება, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით. ამ შედეგების მიზეზები კი ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით წარმოებული სხვადასხვა დამსჯელი ოპერაციები და ლონისძიებებია, რომლითაც სუპერსახელმწიფოები თავის სტატუსის შენარჩუნებას და პატარა ქვეყნების „დაილლიავებას" ახორციელებენ, – მინდა გითხრათ, რომ წარმატებით.

სწორედ ამის გამოა, რომ ამერიკა, არც ობამამდე და არც შემდეგაც, „ჰამასთან" კავშირების გარეშე, ახლო აღმოსავლეთში პოლიტიკური კლიმატის გამოსწორების არანაირ შანსს არ ხედავს და ჩუმად თუ ღიად იყენებს მას თავისი შორსმიმავალი გეგმების განსახორციელებლად. ვინძლო სწორედ ამ ნიშნით და მუსლიმანურ სამყაროსთან მჭიდრო კავშირის გამო აირჩიეს ბარაკ ობამა ქვეყნის პრეზიდენტად. ისიც ცნობილია, რომ ობამას გაპრეზიდენტების შემდეგ იმატა მუსლიმანთა ემიგრაციამ ამერიკაში. 2008 წელს, ბუშის დროს, 25 000 ერაყელ სუნიტს, ობამას დროს კი 100 000 პალესტინელს გაუხსნეს ამერიკის კარი. ასეთია მშრალი ციფრები და უცვლელი რეალობა, – ამ ქვეყნებს იმდენად მეორეხარისხოვნად თვლიან, რომ ცალი ხელით მათრახს ურტყამენ და ცალი ხელით „თაფლაკვერს" აჭმევენ. შენ რა გრჯისო, მეტყვის მავანი. მე ის მადარდებს, ჩვენც მათი ბედი არ გავიზიაროთ. პარადოქსია, მაგრამ არც ბუშს, არც მაკკეინს და არც კლინტონს პაკისტანის დაბომბვის ნებართვა არ გაუციათ, ობამამ კი გასცა. რატომ? იმიტომ ხომ არა, რომ პაკისტანი ჩინეთის ტრადიციული მოკავშირეა? იქნებ ამერიკა აფრიკის კონტინენტის ენერგობაზრიდან ჩინეთის გამოდევნასაც ამავე მიზეზით ცდილობს და ცდილობს იმიტომ, რომ მოთხოვნილებების ვექტორი აღმოსავლეთ ციმბირისკენ შეუცვალოს, სადაც მდიდარი ენერგორესურსები და მცირე მოსახლეობაა. ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ ვარაუდებია, მაგრამ ექსპერტთა ვარაუდები, რომლებსაც არ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ.

აშშ-ს ფარული თუ სიშიშვლემდე ღია ინტერვენციული პოლიტიკით მხოლოდ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები არ არიან "შეშფოთებულები", ევროპელ „სამ მუშკეტერსაც" – ბერლუსკონი-სარკოზი-მერკელს, რომლებსაც რატომღაც დარტანიანად რუსი მედვედევი ეიმედებათ, ასევე ფრთხილი დამოკიდებულება აქვთ ამერიკის გრძელვადიან ევროპულ და ახლო აღმოსავლურ პროექტებთან მიმართებაში და შესაბამისადაც იქცევიან, – ანუ როგორც ამ სურათზეა ნაჩვენები, ძალუმად ებღაუჭებიან თავად ფეხზე ვარაუდით



მდგომ „რუსეთს". ალბათ ამის შედეგიცაა, რომ ჩვენი ოპოზიციის ქარავანმა კურსი ჩრდილოეთისკენ აიღო; გვინდა, არ გვინდა თავად ამერიკაც და ევროპაც არაერთხელ ღიად და პირდაპირ მიგვანიშნებენ, რომ რუსეთთან პირდაპირი მოლაპარაკების გარეშე შორს (ვერც წინ – ნატომდე და ვერც უკან – დსთ-მდე) ვერ წავალთ. თუ ჩვენს „ოპოზიციურ ძალისხმევას", ფარულად, ხელისუფლებაც უმაგრებს ზურგს (რაც შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს), ხომ კარგი, თუ არადა, მაშ, რა ქნას „პეპელამ" იმ რეალობაში, როცა ტერორიზმი სახელმწიფო პოლიტიკის ორგანულ ნაწილად ქცეულა და მას სომალივით ჩამორჩენილი, პატარა ქვეყანაც ისეთივე წარმატებით იყენებს, როგორც „ცივილიზებული" ზესახელმწიფოები, – არც გაფრინდეს და არც მოფრინდეს?!

**ქეთი ჯაყელი**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ამშ საქართველოს აპიარებს

**საქართველოს ხელისუფლებამ დაიქირავა ამერიკული ლობისტური ფირმა „პოდესტა გრუპ" (პგ). კომპანია მიზნად ისახავს მოაწყოს საქართველოს ხელმძღვანელობის შეხვედრები ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან. კონტრაქტის ღირებულება, რომელიც 6 თვითაა დადებული, შეადგენს 300 ათას დოლარს. ჩვენი ინფორმაციით, „პგ"-მ უკვე მიაღწია წინასწარ შეთანხმებას ვაშინგტონში საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სამუშაო ვიზიტის შესახებ, რომელიც უახლოეს დღეებში უნდა გაიმართოს**



იმის შესახებ, რომ საქართველომ იქირავა „პგ", იტყობინებოდა საქართველოს ინტერნეტ-გამოცემა „სივილ ჯორჯია". წყარომ საქართველოს მთავრობაში დაადასტურა ეს ინფორმაცია. ჩვენ შევძელით გავცნობოდით გარიგების შესახებ უწყების ტექსტს, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტროში გადაეცა ლობიზმის შესახებ კანონის შესაბამისად. კონტრაქტი, რომელსაც ხელი მოაწერეს საქართველოს უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელმა ეკა ტყეშელაშვილმა და „პგ"-ს გენერალურმა დირექტორმა კიმბერლი ფრიტსმა, დაიდო 2010 წლის 12 იანვარს. ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტრომ იგი რეგისტრაციაში გაატარა 3 თებერვალს ნომრით 5926.

ლობისტური ფირმა„ პოდესტა გრუპი" დააარსეს ვაშინგტონში ძმებმა ტონი და ჯონ პოდესტებმა 1988 წელს. მის კლიენტებს შორის არიან ისეთი ცნობილი კორპორაციები, როგორიცაა „ბპ", „ჰეინეკენი", „ლოკჰიდ მარტინი" და „უოლ-მარტი". კომპანიის ხელმძღვანელის პოსტი ამჟამად ტონი პოდესტას უკავია, ფირმის ძირითადი აქტივია მისი ძმის ჯონის კავშირურთიერთობანი. ჯონსი იყო ბილ კლინტონის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და ხელმძღვანელობდა ბარაკ ობამას გუნდს ინაუგურაციამდე.

ხელშეკრულების თანახმად, „პგ" კისრულობს ვალდებულებას „მიანიჭოს საქართველოს ლობიზმის მომსახურება, კავშირურთიერთობანი სახელისუფლო ორგანოებთან და პიარი". ვალდებულებათა შორისაა საქართველოს ხელმძღვანელობის წარმომადგენელთა შეხვედრებისთვის ხელშეკრულება ამერიკელ კონგრესმენებთან და ჩინოვნიკებთან. ხელშეკრულება დაიდო 30 ივნისამდე მისი კიდევ ნახევარი წლით გაგრძელების შესაძლებლობით (განახლების პირობები განხილული იქნება მაისში). კონტრაქტის საბაზო ღირებულება 300 ათასი დოლარია. საქართველოს უშიშროების საბჭო გადაიხდის ყველა დამატებით ხარჯებს, მათ შორის ფირმის თანამშრომელთა უცხოეთში მივლინებების ხარჯებსაც. „გამგზავრების ხარჯებში შეიძლება შევიდეს ეკონომიკური კლასის ბილეთები, სტანდარტული სასტუმროს ნომრები და ტრანსფერი აეროპორტში, ტონი პოდესტას მგზავრობის გამოკლებით, ვისი ხარჯებიც გადაადგილებასთან დაკავშირებით ანაზღაურებული იქნება ბიზნეს-კლასის ტარიფების შესაბამისად", – ნათქვამია კონტრაქტში. „პგ"-ს თანამშრომელთა ჯგუფს, კონტრაქტის შესაბამისად, უხელმძღვანელებენ ვაშინგტონ პოსტის ყოფილი ჟურნალისტი ჯონ ანდერსონი და ამერიკის სამეწარმეო ინსტიტუტის ექს-თანამშრომელი მოლი მაკკიუ.

საქართველოს მმართველი პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ლიდერები კონტრაქტში ვერაფერს საძრახისს ვერ ხედავენ. „ლობიზმი მთელ მსოფლიოში ნორმალურ და ლეგალურ მოღვაწეობად ითვლება, – განაცხადა დეპუტატმა დავით დარჩიაშვილმა. – რატომ არ უნდა გააკეთოს ეს საქართველომ, თუ რუსეთი მილიარდობით დოლარს ხარჯავს თავისი ინტერესების წინწასაწევად, მათ შორის ისეთი მიზნებისა, რომლებიც ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ არის მიმართული?".

საქართველოს ხელმძღვანელობიდან ერთ-ერთმა წარმომადგენელმა გვაცნობა, რომ კონტრაქტის ხელმოწერიდან ორი თვის განმავლობაში „პგ"-სთან თანამშრომლობამ გამოიღო პირველი ნაყოფი. ლობისტების ძალისხმევით მიღწეულია შეთანხმება ამერიკის შეერთებულ შტატებში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სამუშაო ვიზიტის შესახებ. ეს ვიზიტი, რომელიც ემთხვევა აპრილში მნიშვნელოვან მოვლენას, შეიძლება ჩაითვალოს დიდ გამარჯვებად. ბატონი სააკაშვილი ხომ არ ყოფილა ვაშინგტონში ბარაკ ობამას პრეზიდენტად არჩევის მომენტიდან – იგი თეთრი სახლის ახალი ხელმძღვანელის ინაუგურაციაზეც კი არ მიუწვევიათ, თუმცა ოფიციალურ სტუმრებს შორის იყო საქართველოს ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი ალასანია. პრეზიდენტ ბარაკ ობამას მიხეილ სააკაშვილი შეხვდა მხოლოდ ერთხელ კოპენჰაგენში კლიმატის საკითხთან დაკავშირებულ დეკემბრის სამიტზე და მაშინაც ელვისებურად – საქართველოს ლიდერმა მოახერხა ბატონ ობამასთან მხოლოდ მისვლა, ხელის ჩამორთმევა და თავის წარდგენა. საქართველოს პრეზიდენტის საიტმა შემდგომ სიამაყით გვაცნობა ამ ინციდენტის შესახებ, როგორც „ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელთან ხანმოკლე შეხვედრის" შესახებ.

სხვათა შორის, „პგ" არ არის წელს თბილისის მიერ დაქირავებული ერთადერთი ლობისტური ფირმა ამერიკის შეერთებული შტატებიდან. „პგ"-სთან კონტრაქტის დადების დღეს ეკა ტყეშელაშვილმა ხელი მოაწერა წლიურ ხელშეკრულებას ლობისტურ კომპანია „ჯეფარდტ გოვერნენტ აფაირს გრუპთან" (გადასახადების გადამხდელებს საბაზო პაკეტი 436,8 ათასი დოლარი დაუჯდებათ), აგრეთვე შეთანხმებას „ორიონ სტრატეგის ლლკ"-სთან, რომელმაც იკისრა ვალდებულება გასწიოს კონსალტინგური მომსახურება წლის ბოლომდე „საქართველოს სრული ინტეგრაციისთვის დასავლეთისა და ნატოს ინსტიტუტებში" 420 ათას დოლარად.

**ალექსანდრ გაბუევი, გიორგი დვალი**

**Коммерсантъ**

დიდი ტერორი?

ალექსანდრ ელისეევი

# 1937 წლის გამოცანის ამოხსნა

## „საუკუნის დანაშაული“ თუ ქვეყნის გადარჩენა?

ყურადღებას იპყრობს ის, რომ გერმანელი გენერლებიც მოქმედებდნენ ფიურერისგან საიდუმლოდ. სხვაგვარად რისთვის სჭირდებოდა ჰიტლერს საიდუმლო მოქმედებანი მათთან? გამოდის, რომ გერმანიის გენერალურ შტაბებსა და აბვერს შეეძლოთ გაეფრთხილებინათ ტუხაჩევსკი. მაშასადამე, ჩვენ წინაშე ნამდვილი ორმხრივი შეთქმულებაა — ჰიტლერისა და სტალინის წინააღმდეგ. უფრო ზუსტად, ორივე ქვეყნის მმართველი პარტიების წინააღმდეგ. შეთქმულები იყვნენ არა მხოლოდ ჰიტლერისა და სტალინის წინააღმდეგ, არამედ პარტიული ხელმძღვანელობის, როგორც ასეთის, წინააღმდეგაც. არმიელებმა ჩაიფიქრეს გადაეყენებინათ პარტიელები, სოციალ-მილიტარისტებმა ხელი აღმართეს სოციალ-დემოკრატებზე.

დამახასიათებელია, რომ სტალინი, როდესაც სამხედრო საბჭოს ცნობილ სხდომაზე გამოდიოდა და რომელიც შეთქმულთა განადგურებას ეძღვნებოდა, სულაც არ ამტკიცებდა, რომ ისინი ჰიტლერის სასარგებლოდ მუშაობდნენ. ის სწორედ არმიაზე მიუთითებდა: „ეს სამხედრო-პოლიტიკური შეთქმულებაა. ეს გერმანიის რაიხსვერის ხელით შეთხზულია. ვფიქრობ, ეს ხალხი რაიხსვერის ხელში მარიონეტები და თოჯინები არიან“. ესე იგი სტალინი აშკარად გამოყოფს გერმანიის სამხედრო ხელმძღვანელობას პოლიტიკური, პარტიული ხელმძღვანელობისგან. იგი მას მიაწერს საკუთარ ამბიციურ მიზნებს, რომლებიც მიმართულია სსრ კავშირში წყობილების შეცვლისკენ. საინტერესოა, რომ სტალინი გერმანიის არმიას დაჟინებით რაიხსვერს უწოდებს, თუმცა 1935 წლიდან მას ვერმახტი ეწოდებოდა. ალბათ, ეს წაცდენაა, თუმცა არა შემთხვევითი წაცდენა. სტალინის შეგნებაში გერმანიის სამხედრო ხელმძღვანელობა არის რაღაც გამოყოფილი ამ ქვეყნის ახალი ხელმძღვანელობისგან. რაიხსვერი, გარკვეულწილად, კვლავ რაიხსვერად რჩებოდა. სხვათა შორის, სწორედ რაიხსვერისა და ვეიმარის რესპუბლიკის დროს, ესე იგი სსრ კავშირისა და გერმანიის მჭიდრო სამხედრო თანამშრომლობის პერიოდში, ტუხაჩევსკი, იაკირი და სხვა სამხედრო ხელმძღვანელები აქტიურად ეცნობოდნენ ზოგიერთი გერმანული სამხედროს იდეოლოგიურ დამუშავებებს. განსაკუთრებული გავლენა მათზე იქონია გენერალ გ.ფონ რექტის კონცეფციამ, ვინც ხელისუფლების არმიის ხელში გადაცემის მომხრე იყო.

ჰიტლერმა სტალინს ცუდი საჩუქარი როდი მიართვა. ამ უკანასკნელმა, რასაკვირველია, თავადაც იცოდა შეთქმულების შესახებ. მაგრამ მას სჭირდებოდა დამატებითი მოწმობანი, რაც გადასცა კიდეც ჰიტლერმა. რაღაცა სასარგებლო ხომ მაინც გააკეთა ჰიტლერმა რუსეთისთვის. არა, თავად იგი ფიქრობდა, რომ ასუსტებდა ჩვენს არმიას. საკუთარი გენერლებისთვის ჰიტლერს ხელი არ უხლია, თუმცა იცოდა მათი ოპოზიციურობა და საიდუმლო კავშირები წითელ ვაიმებრძოლებთან. ძალიან დიდი იყო ფიურერის პატივისცემა ტრადიციული პრუსიული არისტოკრატიისადმი. ახალი გერმანიის მშენებლობის დროს ჰიტლერმა არ ინება ახალი არმიის შექმნა. დააშავა. ეს მას ომის წაგებად დაუჯდა. ამასთან ერთად პრუსიელი მილიტარისტები მუდმივად აწყობდნენ სხვადასხვა შეთქმულებებს ფიურერის წინააღმდეგ. თავისი შეცდომა ჰიტლერმა შეიცნო მხოლოდ ომის დასასრულს, 1944 წლის 20 ივნისს. აი მაშინ წამოიყვირა მან: „სტალინი სრულიად მართალი იყო, როდესაც თავის არმიას წმენდდა“. ამის შესახებ მწარედ აღნიშნავდა ჰებელსიც თავის დღიურებში.

ამრიგად, შეთქმულება იყო, თანაც მის ორგანიზაციაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საგარეო კავშირურთიერთობებმა. გვაფიქრებს ისიც, რომ შელენბერგის მიერ აღწერილ მოვლენებში გარეულია აბვერი — ადმირალ კანარისის სამსახური, რომელიც, როგორც ცნობილია, ინგლისელებზე მუშაობდა. შეთქმული გენერლებიც (ბეკი, ბლომბერგი, ფრიჩი) ინგლისის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდნენ. ჩნდება სერიოზული შეკითხვა — ხომ არ ჰქონია კავშირურთიერთობანი ინგლისთან თავად ტუხაჩევსკის?

რატომაც არა? ამის პირდაპირი დადასტურებანი ჯერჯერობით, მართლაც არა გვაქვს. მაგრამ არის ზოგიერთი ირიბი მოწმობა.

მაგალითად, გენერალი კ.შპალკე, რომელიც 1931-1937 წლებში გენერალური შტაბის „აღმოსავლეთის უცხოეთის არმიების“ განყოფილებას ედგა სათავეში, იტყობინება: „ტუხაჩევსკი იმ ოფიცრების რუპორად იქცა, რომლებსაც გერმანიის არმიასთან ძველ მრავალწლიან თანამშრომლობაზე მეტის არაფრის გაგონება არ სურდათ... ლონდონში გამგზავრებამ, უფრო მეტად კი პარიზში შეჩერებამ ამოცანა გაგვიჩინა: საბჭოთა კავშირს კორონაციაზე (ლონდონში) წარმოადგენს მარშალი, შემდეგ ეს ტუხაჩევსკი, რომელსაც თავისი არამეგობრული სიტყვებით ვიცნობთ, პარიზშიც კი მიდის? მოკლედ, ვერაფერს სახეიროს ჩვენ ამაში ვერ ვხედავდით... ტუხაჩევსკის, თავისი არისტოკრატიული პოლონური სისხლით, შეიძლება ვივარაუდოთ, გაცილებით მეტი სიმპათიები ჰქონდა პარიზისადმი, ვიდრე ბერლინისადმი, და ისედაც თავისი ტიპით ის უფრო მეტად შეესაბამებოდა საფრანგეთის გენერალური შტაბის ელეგანტურ და მახვილგონიერ ოფიცერს, ვიდრე სოლიდურ გერმანულ გენშტაბისტს. მან გერმანიასთან დისტანცია დაიკავა, იყო გერმანიასთან ომის მოსურნე დასავლელი ქვეყნების მხარეზე.

1937 წლის მაისში ტუხაჩევსკი არ გაუშვეს ლონდონში ინგლისის მეფის კორონაციაზე. ცხადია, მისი ეს მოგზაურობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული შეთქმულებასთან, რის შესახებაც სტალინმა უკვე იცოდა. ტუხაჩევსკის გამარჯვება მეტად ხელსაყრელი იყო სწორედ დასავლელი დემოკრატიებისთვის. ის რომ ხელისუფლების სათავეში მოსულიყო, სსრ კავშირი, ალბათ, ჩაებმებოდა რევოლუციურ ომში ნაცისტურ გერმანიასთან. ტუხაჩევსკი მკვეთრად ანტიჰიტლერელი იყო, და მისი ავანტიურებისკენ მიდრეკილების ცოდნის გათვალისწინებით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ომი გაჩაღდებოდა უკვე 1937 წელს. შესაძლებელია, რომ გერმანელი შეთქმულები მხარს უჭერდნენ ტუხაჩევსკის სსრ კავშირის ჰიტლერულ გერმანიასთან წაკიდების მიზნით და ამით სურდა წითელი არმიის სახით მიეღო უკვე ძლიერი მხარდაჭერა. ამ შემთხვევაში ჰიტლერი, უეჭველია, დაამარცხებდა ბედშავ მარშალს, მაგრამ თვითონაც გაიჩხირებოდა რუსეთში, სადაც სხვადასხვა ძალის წინააღმდეგობას გადაეყრებოდა. ორი დიდი ქვეყანა დაქანცავდა ერთმანეთს დაპირისპირებაში. აქ კი უსინდისო აგრესორს დაარტყამდნენ დემოკრატიული ქვეყნების „მამაცი“ არმიები. შედეგად ინგლისი და საფრანგეთი უზრუნველყოფდნენ თავიანთ სრულ დომინირებას დუბლინიდან ვლადივოსტოკამდე სივრცეში. უკვე ცნობილია დემოკრატიების გეგმების შესახებ ჰიტლერის რუსეთთან წაკიდების საქმეში. რატომ არ შეიძლებოდა დაემუშავებინათ საპირისპირო ვარიანტიც — წაეკიდებინათ ტუხაჩევსკი გერმანიისთვის?

ტუხაჩევსკის ჯგუფის განადგურების შემდეგ გერმანელ შეთქმულებს მოუწიათ ემოქმედათ თავად. 1938 წელს გენერლები შეეცადნენ ჩამოეგდოთ ჰიტლერი, რაც ისტორიაში შევიდა „ბერლინის პუტჩის“ სახელით. მაგრამ მან გამანადგურებელი მარცხი განიცადა პუტჩისტების სრული არაორგანიზებულობის გამო.

აქ უნდა ითქვას, რომ გენერალიტეტის პოლიტიკურმა ამბიციებმა ერთხელ უკვე დიდი ზიანი მიაყენეს რუსეთს. 1917 წლის თებერვალში სწორედ გენერალური შტაბის უფროსმა მ.ვ.ალექსეევმა და ჩრდილოეთის ფრონტის სარდალმა ნ.რუზსკიმ დაარწმუნეს მეფე ნიკოლოზ II, უარი ეთქვა ტახტზე. არადა მაშინ ქვეყანაში იმპერატორის ერთგული ბევრი ნაწილი იყო, რომლებსაც შეეძლოთ ჩაეხშოთ ბუნტი პეტროგრადში. ნუ დავიწყებთ ახლა მსჯელობას იმის შესახებ, რამდენად „კარგი“ იყო და რამდენად „ცუდი“ ნიკოლოზ მეფე. ეს ცალკე და მეტად ღრმა საუბრის თემაა. აღვნიშნავ, რომ სახელმწიფოს მეთაურის ჩამოგდება ომის წარმოების დროს არა მხოლოდ უგუნურობაა, არამედ არის უგუნურობა კვადრატში. მეფის გადადგომამ გამოიწვია ქვეყნისა და არმიის ლიბერალური დაშლა, რომელიც კანონზომიერად დამთავრდა ბოლშევიზმის ყველა „სიმშვენიერით“.

თებერვლის გადატრიალებიდან ოცი წლის შემდეგ სტალინი მოიქცა მკაცრად, მაგრამ სამართლიანად. მან შეთქმულები გაანადგურა.

ამრიგად, ჩვენ განვიხილეთ ოთხი შინაპარტიული დაჯგუფება, რომლებიც 1930-იან წლებში ჩამოყალიბდა. თითოეული მათგანის უკან თავისი სოციალურ-პოლიტიკური პროექტი იდგა. თითოეული ეყრდნობოდა უმთავრესად მიჩნეულ საკუთარ სოციალურ ფენას. მემარცხენე კონსერვატორების ორიენტირი იყო პარტიული აპარატი, ეროვნული ბოლშევიკებისა — სახელმწიფო ჩინოვნიკობა, სოციალ-დემოკრატებისა — ინტელიგენცია, მემარცხენე მილიტარისტებისა — გენერალიტეტი. ის მხოლოდ მოჩვენებაა, რომ ხელისუფლებისთვის ბრძოლა ეს მხოლოდ თავად ხელისუფლების ხელში ჩაგდებისთვის ბრძოლააო. ყოველთვის და ყველგან მხედველობაში კიდევ პოლიტიკური მოტივაციაცაა.




1936-1938 წლებში გააფთრებულ ბრძოლაში, არსებითად, ერთმანეთს შეეჯახა ოთხი პოლიტიკური პარტია.

### თავი 7

### „რევოლუციის დემონი“ დასავლეთის დაცვაზეა.

### ტროცკისტული საფრთხის რეალობა

30-იან წლებში იყო კიდევ საბჭოთა კომუნისტური დაჯგუფება, თუმცა მისი შინაპარტიულად მონათვლა არ შეიძლება, ვინაიდან ჯგუფის ცენტრი თავად პარტიის გარეთ იყო. საკითხი ტროცკისა და ტროცკისტებს შეეხება.

ბევრი რატომღაც დარწმუნებულია, განდევნილ ტროცკის სსრ კავშირში მომხრეები არ ჰყავდაო. თითქოს მხოლოდ ეჭვიანი სტალინის ავადმყოფ თავში შეიძლება ყოფილიყო ტროცკისტული ოპოზიცია, რომელიც გვარიანად გაანადგურეს 20-იანი წლების ბოლოს.

მაგრამ ფაქტები მთელი სიჯიუტით საპირისპიროს მოწმობენ. რა თქმა უნდა, ღია ტროცკისტებიდან, რომლებიც ბობოქრობდნენ ნეპის დროს, გარეთ ცოტაღა დარჩა. მაგრამ მათი უმრავლესობა ინარჩუნებდა განდევნილი კერპის იდეების ერთგულებას. ბანაკშიც კი ტროცკისტებს ჰქონდათ ერთგვარი ორგანიზაცია და ეწეოდნენ პროპაგანდას. ეს პროპაგანდა, ტროცკიზმის სკოლა გულაგის ათასობით პატიმარმა გაიარა, რომელთაგანაც ბევრი იქიდან გამოდიოდა ტროცკის ჩამოყალიბებულ მომხრედ. ამ ფაქტს ანტისტალინელი ისტორიკოსებიდან არავინ უარყოფს, მაგრამ ძალიან ცოტა თუ აღიარებს 30-იანი წლების საბჭოთა ტროცკისტებს, როგორც სერიოზულ პოლიტიკურ ფაქტორს.

მაგრამ საქმე მხოლოდ პატიმრებში როდია! ტროცკი — ეს მართლაც ფიგურაა, რომელმაც მარქსიზმში ძლიერი მიმართულება შექმნა და რომელიც დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს. მაშ რატომ არ შეიძლებოდა სსრ კავშირშიც ყოფილიყო ძლიერი ტროცკისტული იატაკქვეშეთი? მათ შორის პარტიულ-სახელმწიფო აპარატშიც, პარტიაშიც.

რასაკვირველია, იგი იყო. აი, მაგალითად, როგორ არ დაუჯერებ „სტალინურ სატრაპებს“, როდესაც საარქივო მასალები მოწმობენ იმის შესახებ, რომ სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ტექნიკური მდივანი ე.კოგანი თანაუგრძნობდა ტროცკის და გადასცემდა მას მნიშვნელოვან ინფორმაციას, როდესაც იგი ნორვეგიაში იყო. უკვე ნორვეგიაში ინფორმაციას ღებულობენ მისი და რ.კოგანი, აგრეთვე ვინმე პ.კუროედოვი. ორივე გამშიფვრელებად მუშაობდნენ საბჭოთა საელჩოში. და მონაცემებს ყოველივე ამის შესახებ აქვეყნებს არა რომელიღაც „სტალინური ფურცელი, არამედ სერიოზული აკადემიური გამოცემა „ისტორიული არქივები“. მათ ადასტურებენ ტროცკისადმი სიმპათიურად განწყობილი ისტორიკოსები (ვ.როგოვინი) დაჟინებით გაიძახიან რეპრესიების ხელოვნურობის შესახებ.

ცალკე მუხლია — „ტროცკიზმის გენერლები“, 20-იანი წლების ცნობილი ოპოზიციონერები. ყველა მათგანმა მოინანია პარტიის წინაშე — ზოგმა ადრე, ზოგმა გვიან. მაგრამ რამდენად გულწრფელი იყო ეს მონანიება? ფაქტები (მხოლოდ ფაქტები!) მოწმობენ, რომ ბევრისთვის ეს მხოლოდ ცბიერი მანევრი იყო.

ავიღოთ, თუნდაც, ი.ნ.სმირნოვი, ტროცკის ერთ-ერთი უახლოესი თანამებრძოლი. ის იყო ძველი ბოლშევიკი, კარგად გაწაფული რევოლუციურ საქმიანობაში. საკმარისია ითქვას, რომ სამოქალაქო ომის დროს ის ციმბირის ქალაქებში აწყობდა აჯანყებებს, რათა წითელი არმიისთვის შეემსუბუქებინა კოლჩაკთან ბრძოლის ამოცანა. 1929 წელს სმირნოვმა მოინანია თავისი ოპოზიციური საქმიანობა, მაგრამ უკვე 1931 წლიდან კვლავ გადაუხვია ტროცკიზმის მოლიპულ გზაზე. იმავე წლის შემოდგომაზე, უცხოეთში ყოფნის დროს, ის თითქოს შემთხვევით შეხვდა ბერლინის სუპერმარკეტში ტროცკის შვილს ლ.სედოვს. როგორც თავად სედოვი წერდა, ვინც ამ შეხვედრის შესახებ იტყობინებოდა, მათ „დააფიქსირეს შეხედულებათა სიახლოვე“.

1932 წლის შემოდგომაზე სმირნოვი ტროცკის მიერ გამოშვებულ „ოპოზიციის ბიულეტენში“ აგზავნის სტატიას სსრ კავშირში სახალხო მეურნეობის ღარიბულ მდგომარეობაში ყოფნის შესახებ, აგრეთვე უხვ კორესპონდენციებს.

სედოვი საჯაროდ მხოლოდ ამ ორ ფაქტს აღიარებდა. დანარჩენები კი მოსკოვის პირველი პროცესის ორგანიზატორებმა სიცრუედ გამოაცხადეს. მაგრამ ტროცკის ჰარვარდის არქივი, რომელიც კვლევებისთვის მხოოდ 1980 წელს გაიხსნა, საპირისპიროს მეტყველებს. იქ მომუშავე ისტორიკოსებმა ა.გეტიმ (ამერიკის შეერთებული შტატები) და პ.ბრუემ (საფრანგეთი) ერთმანეთისგან დამოუკიდებლად აღმოაჩინეს მასალები, რომლებიც მოწმობენ ტროცკის უფრო ვრცელი კონტაქტების შესახებ თავის მომხრეებთან სსრ კავშირში. კავშირურთიერთობა სმირნოვსა და ტროცკის შორის მუდმივად იყო ორი კაცის — ჰავენისა და გოლცმანის მეშვეობით. უფრო მეტიც, არქივის მონაცემების თანახმად, სწორედ სმირნოვის დაჯგუფებამ გააერთიანა თავის გარშემო ყველა სხვა ანტისტალინური მიმდინარეობა, როგორც „მემარცხენეები“, ისე „მემარჯვენეები“. ერთიან ანტისტალინურ ფრონტს შეადგენდნენ: ი.ნ.სმირნოვის ორგანიზაცია“ (მასში შედიოდნენ ტროცკის ისეთი ძველი თანამებრძოლები, როგორებიც იყვნენ ი.სმილგა და ს.მრაჩკოვსკი), სტენის ჯგუფი — ლომინაძე, შლიაპნიკოვისა და მედვედევის დიდი ხნის წინათ განადგურებული „მუშათა ოპოზიციის“ ლიდერები, აგრეთვე ზინოვიევი და კამენევი. უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 14-44.

## ფეხბურთი




# „მეთოფეებმა“ მჭიდი დაცალეს

**ჩემპიონთა ლიგის საპასუხო მერვედფინალური მატჩის წინ არსენ ვენგერს ახალი თავსატეხი გაუჩნდა: თითქოს ვან პერსის და ედუარდოს ტრავმები არ ყოფილიყოს საკმარისი, ლაზარეთში „მეთოფეთა“ იერიშების სულისჩამდგმელმა ფაბრეგასმაც გადაინაცვლა.**

ალბათ, ამის გამოც იყო, რომ ტოტალიზატორებში ფსონები მასპინძელთა სასარგებლოდ უჩვეულოდ გაიზარდა, მაგრამ „ემირეითს სთედიუმზე“ „პორტუსთან“ გამართულმა შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ლონდონის „არსენალი“ ლიდერთა გარეშეც საათივით აწყობილი გუნდია, რომელსაც ისეთი მრისხანე მეტოქის გაცამტვერება ხელეწიფება, როგორიც პორტუგალიური გრანდია – 5:0 (!ძ.

ამ დღეს, რომ იტყვიან, მინდორზე დაფრინავდნენ არშავინი, როსიცკი, ნასრი, დიაზი და ძმანი მათნი, მაგრამ თამაშის გმირი ის აყლაყუდა დანიელი გახდა, ვინც ტლანქი მოძრაობებიც და უამრავი გამოუყენებელი საგოლე მომენტიც მთელი სეზონის განმავლობაში აღიზიანებს ბრიტანელთა ქომაგებს. დიახ, ბენდტნერმა, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, „ჰეთ-თრიქი“ შეასრულა და პარტნიორებს მეოთხედფინალისკენ გაუკვალა გზა (პირველი მატჩი – 1:2ძ.

დრამატულად განვითარდა მოვლენები ფლორენციაში, სადაც „ფიორენტინამ“, მართალია, შექლო რევანშის აღება მიუნხენის „ბაიერნთან“ – 3:2, მაგრამ სტუმრად გატანილი მეტი გოლის წყალობით პლეი-ოფის მორიგ ეტაპზე სწორედ ბავარიული გიგანტი იასპარეზებს (პირველი შეხვედრა – 1:2ძ.




ვან გაალს მხსნელებად მისივე თანამემამულენი ვან ბომელი და რობენი მოევლინენ, რომლებმაც ზღაპრული შორეული დარტყმებით დაჩრდილეს ტოსკანელთა სნაიპერების ვარგასისა და იოვეტიჩის (მან „დუბლი“ შეასრულაძ ელვარება.

## კალათბურთი

# ესპანური გაზაფხული

**გაირკვა ევროპის თასის გათამაშების პლეი-ოფის მონაწილეთა ვინაობა. 24 და 31 მარტს ორრაუნდიან მეოთხედფინალში ერთმანეთს შეხვდებიან: „ალბა“ – „ჰაპოელი“, „ვალენსია“ – „არისი“, „ბილბაო“ – „ნიმბურკი“ და „გრან კანარია“ – „პანელინიოსი“.**

მიაქცევდით, ალბათ, ყურადღებას, რომ უძლიერესთა ოქტეტში ერთბაშად სამი ესპანური კლუბი მოხვდა, რაც სავსებით ლოგიკური ფაქტი გახლავთ – ამ ქვეყნის საკალათბურთო ლიგა ხომ ერთ-ერთი საუკეთესოა კონტინენტზე.

სხვათა შორის, მორიგ ეტაპზე გასვლის მშვენიერი შანსი პირველთა კიდევ ერთ წარმომადგენელს – „ხუვენტუდს“ ჰქონდა, მაგრამ ბადალონელებმა დასკვნითი მატჩი შინ მოულოდნელად დათმეს ბერლინის „ალბასთან“ და პრესტიჟული ჯილდოსთვის ბრძოლას გამოეთიშნენ.

**გაუწყებთ ჯგუფური ტურნირის VI ტურის მატჩების შედეგებს:**

**„ა“ ჯგუფი.** „ხუვენტუდი“ – „ალბა“ 62:68, „ლე მანი“ – „არისი“ 79:75.

„ალბა“ – 4, „არისი“, „ხუვენტუდი“ – 3-3 (ბერძნებს უპირატესობა მიენიჭათ პირადი შეხვედრების მაჩვენებლების გამოძ, „ლე მანი“ – 2 მოგება.

**„ბ“ ჯგუფი.** „ვალენსია“ – „უნიქსი“ 91:81, „გალათასარაი“ – „ჰაპოელი“ 98:111.

„ვალენსია“ – 5, „ჰაპოელი“ – 4, „უნიქსი“ – 3, „გალათასარაი“ – 0 მოგება.

**„გ“ ჯგუფი.** „პანელინიოსი“ – „ბილბაო“ 77:70, „ბენეტონი“ – „ბროზე“ 86:70.

„ბილბაო“, „პანელინიოსი“ – 4-4, „ბენეტონი“, „ბროზე“ 2-2 მოგება.

**„დ“ ჯგუფი.** „ნიმბურკი“ – „ტელეკომი“ 84:94, „გრან კანარია“ – „ცრვენა ზვეზდა“ 81:58.

„გრან კანარია“ – 4, „ნიმბურკი“, „ცრვენა ზვეზდა“ – 3-3, „ტურკ ტელეკომი“ – 2 მოგება.



## ტანვარჯიშში

# ისევ გაბრწყინდა



**თითქოს ამაში უჩვეულო არაფერი ყოფილა – დებრეცენში (უნგრეთიძ მიმდინარე მხატვრულ ტანვარჯიშში მსოფლიო თასის მორიგ ეტაპზე კვლავ გაბრწყინდა რუსეთელი სპორტსმენის ევგენია კანაევას ტალანტი.** მან ყველა სახეობაში თითქოსდა ჩვეულებისამებრ პირველი ადგილი დაიკავა. მან სახტუნავოთი და ბურთით ვარჯიშში თავისი მთავარი მეტოქე დმიტრიევა დაჯაბნა, ხოლო ბაზთითა და რგოლით ასპარეზობისას – კონდაკოვა.

## ინტერნეტიდან

## კლიჩკო დრაკონს შეხვდება



**მძიმე წონაში WBC ვერსიის ქამრის მფლობელი, უკრაინელი მოკრივე ვიტალი კლიჩკო თავისი ტიტულის დასაცავად ნებაყოფლობით ბრძოლას გამართავს ევროპის ჩემპიონთან, პოლონელ ალბერტ სოსნოვსკისთან, რომელსაც დრაკონსაც ეძახიან.**

ორთაბრძოლა 29 მაისს გერმანიაში გილზენკირხენის კლუბ „შალკეს“ სტადიონზე გაიმართება.

„ძალზე მიხარია, რომ მომეცა გერმანიაში რინგზე გამოსვლის მორიგი შესაძლებლობა, – განაცხადა კლიჩკო-უფროსმა, – გილზენკირხენში განსაკუთრებით უყვართ კრივი. შარშან აქ ჩემი ძმა ვლადიმერი იბრძოდა 61 ათასი მაყურებლის თვალწინ. დივიდზე სოსნოვსკის ბრძოლა ვნახე, – ის ძალზე გამოცდილი, სწრაფი და ამტანი მებრძოლია. ის ყველაფერს გააკეთებს, რათა ჩემს ტიტულებს დაეუფლოს. მაგრამ დარწმუნებული ვარ – ეს არ მოხდება“.

თითქმის თორმეტწლიან კარიერაში 31 წლის სოსნოვსკიმ 48 ბრძოლა გამართა, მხოლოდ ორჯერ დამარცხდა.

## ზამთარს რეკორდით დაამთავრებს?




**ყოველ შემთხვევაში ასე აპირებს ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ჭოკით ხტომაში ელენა ისინბაევა. მან უკვე გაიმარჯვა მოსკოვში გამართულ შეჯიბრებაში „რუსული ზამთარი“ და დონეცკში დამთავრებულ ტურნირზე „ჭოკის ვარსკვლავები“. მან დონეცკში გამარჯვების სიმაღლე 4,85 მეტრი პირველსავე ცდაზე დაძლია. სარეკორდო 5,01 მეტრი კი ვეღარ „დაიმორჩილა“.**

ახლა ელენა ყატარშია, სადაც მორიგ ჩემპიონატზე შეიკრიბნენ მსოფლიოს რჩეული მძლეოსნები. როდესაც მას ჰკითხეს, აპირებს თუ არა ახალ რეკორდზე შეტევას, მან უპასუხა, რომ პირველ რიგში მთავარია გამარჯვებისთვის ბრძოლა. და თუ დოხაში ყველაფერი ნორმალურად იქნება, მაშინ შეიძლება რეკორდისთვის ბრძოლაც. კარგია ზამთრის სეზონის რეკორდით დამთავრებაო.

## ჯიჯიმ დამიჩოქოსო

**სულ ახლახან იტალიაში ჭორაობდნენ, „იუვენტუსის“ ბრაზილიელ-იტალიელ ფორვარდზე ამაურისა და მისი თანაკლუბელის, მეკარე ჯანლუიჯი ბუფონის ლამაზმანი ცოლის ალენა სერედოვას შესაძლო რომანზე. თუმცა ვნებანი სწრაფად განელდა, რადგან თავიანთი თაყვანისმცემლების დასამშვიდებლად ჯიჯიმ და ალენამ თავიანთ ქორწილზე გაავრცელეს ხმები.** „ჩვენს შორის არავითარი განხეთქილება არაა, – მოაქვთ მშვენიერი ჩეხი ლამაზმანის სიტყვები პრესაში, – პირიქით, ჩვენ დაქორწინება გვინდა“. გასაკვირი არაფერია. მათ ხომ უკვე ორი საერთო შვილი ჰყავთ. და მაინც, ბუფონმა მთელი თავისი ხელოვნება უნდა გამოიჩინოს, რათა ალენა ქორწილზე დაითანხმოს.

– მინდა „ქალბატონი ბუფონი“ გავხდე, – თქვა სერედოვამ, – ოღონდ მე მოვითხოვ, რათა ჯიჯიმ დამიჩოქოს ჯიბეში ბრილიანტის ბეჭდით“, – ასეთია ალენას „განაჩენი“.



## საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირის პროგრამის 2009 წლის ფინანსური ანგარიში

საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირის 2009 წლის შემოსავალმა შეადგინა 10060 ლარი, აქედან ქველმოქმედების სახით შემოსულია 4060 ლარი და საწევრო ანარიცხებით 6000 ლარი. თანხების ჩარიცხვა ხდებოდა ენერგეტიკულ ორგანიზაციებთან.

2009 წელში გაწეულია 11002 ლარის ხარჯი. ჩატარდა 27 ვეტერან-ენერგეტიკოსების საიუბილეო თარიღების აღნიშვნა „ალა-ფურშეტით“, რაზედაც დაიხარჯა 679 ლარი, მ/წ გაცემულია ვეტერანებზე დახმარება 500 ლარი, გაწეულია საკანცელარიო ხარჯი 705 ლარი, ადმინისტრაციაზე გაწეულია 8056 ლარის ხარჯი, კომუნალურ მომსახურებაზე დახარჯულია 250 ლარი, მივლინებაზე 90 ლარი, გადახდილია ბანკის მომსახურების თანხა 41 ლარი, დარიცხულია ამორტიზაცია 2009 წლის 62 ლარი, გადასარიცხია ქონების გადასახადი 4 ლარი, აუდიტის მომსახურებაზე გადახდილია 100 ლარი, ჟურნალ „გადასახადები და აღრიცხვაზე“ გადარიცხულია 100 ლარი, ვეტერანების საიუბილეო სურათების დამზადებაზე დახარჯულია 52 ლარი, გაზეთში გამოცხადებაზე დახარჯულია (საიუბილეო მილოცვა და ნეკროლოგი), 243 ლარი და სხვა ხარჯებისთვის 120 ლარი (100 ლარი ფონდის წესდების უკრაინული ენიდან ქართულზე თარგმნის ღირებულება და 20 ლარი ქონების ცვეთის ჩამოწერისძ.

### ბალანსი 1/I-2010 წლისათვის

| აქტივი | წლის დასაწყისში | საანგარიშო პერიოდის ბოლოს | პასივი | წლის დასაწყისში | საანგარიშო პერიოდის ბოლოს |
|---|---|---|---|---|---|
| მიმდინარე აქტივები (1100, 1210) | 1135 | 549 | მიმდინარე ვალდებულებები (3320, 3170ძ | 1-00 | 76-00 |
| სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი (1690,1700 1900ძ | 281 | 82 | სხვა რეზერვები და მიზნობრივი დაფინანსება (5490ძ | 1746 | 804 |
| სულ გრძელვადიანი აქტივი (2160ძ | 331 | 249 | | | |
| სულ აქტივები | 1747 | 880 | სულ ვალდებულებები და კაპიტალი | 1747 | 880 |

საქენერგეტიკის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე (რევო მშვიდობაძე

შთაბეჭდილება და თვალსაზრისი

# „წამით შეჩერებული დრო თქვენ მარადიული გახადეთ“



**უკვე რამდენიმე კვირაა საქართველოს კინოს, მუსიკის და ქორეოგრაფიის მუზეუმში გახსნილია „სუხიშვილების“ ლეგენდარული ანსამბლის ერთ-ერთი დამაარსებლის ქალბატონ ნინო რამიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა, რომლის ავტორია წარსულში ამ ანსამბლის წამყვანი სოლისტი, ლეგენდარული მოცეკვავე, შეიძლება ითქვას, ანსამბლის ფოტომემატიანე ბატონი თენგიზ უთმელიძე.**

ძნელია თავი შეიკავო იმ მოზღვავებული ემოციისაგან, რომელიც გეუფლება ამ ექსპოზიციის ნახვისას. 1955 წლიდან ბატონმა თენგიზ უთმელიძემ ნებაყოფლობით, უსასყიდლოდ იკისრა მძიმე ტვირთი „სუხიშვილების“ ანსამბლის მემატიანისა და დახვეწილი გემოვნებით დააფიქსირა კიდეც ანსამბლის ტრიუმფალური გამოსვლები და არნახული წარმატებები მსოფლიოს ხუთივე კონტინენტზე გასტროლებისას. წარმატება კი მართლაც ფენომენალური იყო. ქართული თვითმყოფადი უნიკალური ფოლკლორის წინაშე აღფრთოვანებისაგან გუგუნებდა მსოფლიოს პირველხარისხოვანი თეატრები. მილანის „ლა-სკალა“, ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენ ოპერა“, ლონდონის „კოვენტ-გარდენი“ და სამეფო დარბაზი „ალბერტ-ჰოლი“, ნეაპოლის „სან-კარლო“, ვენეციის „ლა-ფენიჩე“, ვენის, კოპენჰაგენის, სიდნეისა და გლაზგოს სამეფო თეატრები. რა ზუსტია დიდი ქართველი მწერლის გრიგოლ რობაქიძის მოსაზრება: „ქართული ცეკვა – როკვით განფენილი, მადლია, მას სხვა ვერ იცეკვებს ქართველის გარდა, რასსა არ ეყოფა“.

ეს მშვენიერება უნდა ნახოს და იგრძნოს საქართველოს ყველა მოქალაქემ, ზუსტად ისეთი გრძნობა დაგეუფლება, როცა თვალს შეავლებ გამოფენის კედლებზე განფენილ შესანიშნავ ფოტომასალას.

ძირითადი ღირებულება ამ ფოტოშედევრებისა არის ის, რომ იგი შექმნილია პროფესიონალი მოცეკვავეების მიერ და დაჭერილია ის მომენტები, რომელიც შეუძლია მხოლოდ პროფესიონალმა მოცეკვავემ შეამჩნიოს. კომპოზიტორ გომარ სიხარულიძის აზრით: „ეს არის გამონაკლისი, როდესაც წამი გაყინული არ არის, მსგავსი დინამიკა მე იშვიათად მინახავს“. აი, როგორ ეხმიანება ამ გამოფენას ჩვენი სახელოვანი მოქანდაკე ბატონი მერაბ ბერძენიშვილი: **„საოცრებაა თქვენი მოღვაწეობის ბობოქარი დრო, მახვილმა თვალმა, ალღომ, მხატვრულმა ხედვამ დაიჭირა ცეკვათა ხასიათი, რიტმი და პლასტიკა, წამით შეჩერებული დრო თქვენ მარადიული გახადეთ“.**

ჟურნალისტ ივანე ჯაფარიძეს მიაჩნია, რომ „ეს არის ისტორიისა და სილამაზის გასახსენებელი ფოტოკადრები, რომელმაც კიდევ ერთხელ გაგვახედა უკან დიდი ისტორიის და სილამაზის გასახსენებლად, გვაგრძნობინა, რომ ჩვენი ერი ჯერ კიდევ ფეხზე დგას და სილამაზის განცდა არ დაუკარგავს“.

ფოტოგამოფენაზე საინტერესო შეხედულებები აქვთ პოეტებს, ხელოვნებათმცოდნეებს, კომპოზიტორებს, ფსიქოლოგებს, ჟურნალისტებს, სტუდენტებს, რადიკალურად განსხვავებული პროფესიის ადამიანებს. ფოტოხელოვნების ამ უიშვიათესი ნიმუშების დათვალიერება ხდება ანსამბლის მოღვაწეობის ამსახველი ვიდეოკადრების ჩვენებით. მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ბატონ თენგიზ უთმელიძეს კოლექციაში 10.000 კადრია და აქ გამოფენილი მასალა მცირე ნაწილია მხოლოდ.



მთლიანად შთაბეჭდილება იმდენად დიდია, რომ ბუნებრივად ფიქრობ ეს მშვენიერება საკუთრება გახდება მოსახლეობის რაც შეიძლება ფართო ფენებისათვის, რადგან ჩვენი ერი ჯერ კიდევ ფეხზეა და სილამაზის განცდა არ დაუკარგავს.

ვფიქრობ და ალბათ ანალოგიური აზრი დაებადება ყველას, ვინც ეზიარა ამ მშვენიერებას, რომ გადაუდებელი ამოცანაა ვრცელი, ტევადი ალბომის გამოცემა ამ უნიკალური ფოტომასალისა, შესაბამისი ისტორიული ნარკვევით, რაც დარწმუნებული ვართ, უეჭველად გახდება რელიკვია და ქართველი ხალხი მას გაიხდის საოჯახო უძვირფასეს საჩუქარ-სუვენირად შვილებისთვის, და, როგორც ჩვენი ისტორიის მატიანე, გახდება სამზითვო წიგნი პატარძლებისთვის. გვწამს, შესაბამისი დახმარება იქნება კულტურის სამინისტროსგან (გვწამს ასეთი დახმარებისა, რადგან სამინისტრომ უკანასკნელ ხანს მრავალი სამამულიშვილო პროექტი განახორციელა), თავის სიტყვას იტყვიან ქართველი ბიზნესმენები. მიზანშეწონილია გაიხსნას სპეცანგარიში ნებაყოფლობითი შეწირულობებისთვის. ჩვენმა სატელევიზიო არხებმა ფართო პროპაგანდა უნდა გასწიონ ამ მიმართებით.

იჩქარეთ! გულწრფელად მოვუწოდებ ყველას, ვინც გულგრილი არაა ყოველივე მშვენიერების აღსაქმელად, ნახეთ და დატკბით ამ გამოფენაზე წარმოდგენილი უნიკალური ფოტომასალით.

**გურამ მგელაძე,**
**ანზორ კალმახელიძე**

**სურათებზე: ამ სარეკლამო ფოტომ (ზემოთ) მსოფლიო „მოიარა“ – ლოს-ანჟელესის ხიდის სიმაღლეზე ასრულებს ნახტომს თენგიზ უთმელიძე; ნინო რამიშვილი და თენგიზ უთმელიძე ასრულებენ „ქართულს“.**

ხსოვნა

# ანტონ დავითაია



ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სპორტის დამსახურებული მუშაკი, აბაშის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლის მძლეოსნობის მწვრთნელ-მასწავლებელი ანტონ დავითაია.

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი წლების მანძილზე მუშაობდა სენაკის, მარტვილის, ხობის სასპორტო სკოლებში. 2002 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე კი აბაშის სასპორტო სკოლის პედაგოგია. ბევრი მისი აღზრდილი წარმატებული სპორტსმენი, საქართველოს ნაკრების წევრია.

იყო კარგი მეგობარი, კარგი მამა და მეუღლე.

მისი ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება ყველას გულში, ვინც მას იცნობდა. იცნობდა კი მთელი რაიონი.

აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობა;
აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

საქმე №2-3

გარდაბნის რაიონული სასამართლო

## განჩინება

10 მარტი 2010 წელი — ქ. გარდაბანი

**გარდაბნის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ქეთინო ლუაშვილმა, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სს „თბილსრესის“ ქონების მიმართ წარმოებულ „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კრედიტორთა კრების მოწვევის საკითხი, რა დროსაც**

**გამოარკვია:**

გარდაბნის რაიონული სასამართლოს წარმოებაში იმყოფება გაკოტრების საქმე სს „თბილსრესის“ ქონების მიმართ.

2009 წლის 19 აგვისტოს გარდაბნის რაიონულ სასამართლოს მომართა სს „თბილსრესის“ გაკოტრების მმართველმა დ. ჩახნიანმა და განმარტა, რომ 2005 წლის 10 იანვრიდან სს „თბილსრესის“ ქონებაზე გახსნილია გაკოტრების საქმის წარმოება, 1996 წლის 25 ივნისის კანონის „გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ“ შესაბამისად. აღნიშნული კანონის მოქმედება გაგრძელებული იქნა 2008 წლის 15 აგვისტომდე, 2008 წლის 15 აგვისტოდან კი მოქმედება დაიწყო კანონმა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“.

კრედიტორმა – საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა პაპუნა პეტრიაშვილმა მოითხოვა მოწვეულ იქნეს სს „თბილსრესის“ გაკოტრების კრედიტორთა კრება, რომელზედაც განხილული იქნება შემდეგი საკითხები:

1. გაკოტრების მმართველის ანგარიში (მოვალის გაკოტრების ანგარიში);
2. სს „თბილსრესის“ კრედიტორთა მოთხოვნების რეესტრში ცვლილებები და დამატებები;
3. სს „თბილსრესის“ სამეურვეო ქონების რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხის განაწილება;
4. სს „თბილსრესის“ ლიკვიდაცია;
5. სხვადასხვა.

სასამართლო გაეცნო რა აღნიშნულ განცხადებას, მიაჩნია, რომ ამ საკითხის გადასაწყვეტად საქართველოს კანონის „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ მიზანშეწონილია კრედიტორთა კრების მოწვევა.

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის თანახმად, სასამართლო ვალდებულია მოიწვიოს კრედიტორთა კრება, რომელიც უნდა ჩატარდეს მიმართვიდან არაუგვიანეს 5 დღისა. ინფორმაცია მისი მოწვევის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს კრების ჩატარებამდე ამ კანონის 25-ე მუხლით დადგენილი წესით.

სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს კანონის „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-$4^5$, 27-ე მუხლებით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე, 414-ე მუხლებით,

**დაადგინა:**

1. სს „თბილსრესის“ „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კრედიტორთა კრება მოწვეულ იქნეს 2010 წლის 15 მარტს 16:00 საათზე გარდაბნის რაიონულ სასამართლოში, სხდომის დარბაზი №1.
2. აღნიშნული განჩინება გამოქვეყნდეს ჟურნალ „საკანონმდებლო მაცნეში“, გაზეთებში „საქართველოს რესპუბლიკა“ და „24 საათი“; ასევე ქვემო ქართლის რეგიონალურ ტელევიზიაში.
3. განჩინების ხარჯები დაეკისროს გაკოტრების მასას;
4. განჩინების გასაჩივრება არ დაიშვება.

**მოსამართლე: ხელმოწერილია ქ. ლუაშვილი**
**ასლი დედანთან სწორია კანც. გამგე ნ. სვანი**

## ობოლ ბავშვთა დახმარების ახალგაზრდული ფონდის 2009 წლის ანგარიში

**საქველმოქმედო ორგანიზაცია ობოლ ბავშვთა დახმარების ახალგაზრდული ფონდი დაფუძნდა 1996 წლის 11 ივნისს იუსტიციის სამინისტროში, ხოლო საქართველოს კანონმდებლობაში ცვლილებებიდან გამომდინარე ხელახალი რეგისტრაცია გაიარა 1998 წლის 3 ივლისს იუსტიციის სამინისტროში №089.**

ობოლ ბავშვთა დახმარების ახალგაზრდული ფონდის მიზანია დაიცვას ობოლი, სოციალურად დაუცველი ბავშვების უფლებები, დაეხმაროს მათ და ხელი შეუწყოს ბავშვის ნიჭისა და უნარის განვითარებას. ფონდს 2009 წლის სამუშაო გეგმაში მრავალი საინტერესო პროგრამები ჰქონდა დაგეგმილი, მაგრამ სამწუხაროდ, ფონდის დირექტორის ლია პაპიაშვილის მძიმე ოჯახური მდგომარეობიდან გამომდინარე, ორგანიზაციამ ვერ შეძლო წლიური პროგრამების განხორციელება, ფონდის 2009 წლის წლიური შემოსავალი შეადგენს 120 (ას ოცი) ლარს, რომელიც გაიხარჯა მიზნობრივად.

**ფონდის დირექტორი ლია პაპიაშვილი**

## შპს „გეო ფარმა1“ აცხადებს აუქციონს ძირითადი საშუალებების დროებით სარგებლობაში (იჯარით) გაცემის მიზნით

**აუქციონზე გამოტანილი იქნება შპს „გეო ფარმა1“-ის კაპიტალში არსებული ქ. თბილისში, მოსკოვის გამზ. მე-4 კვარტ. მე-3 კორპუსში და ქ. თბილისში, 26 მაისის მოედანი №2, ნაგებობა №1-ში მდებარე ფართები.**
**ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ:**
**იჯარით გამცემი – შპს „გეო ფარმა1“**

| იჯარით გასაცემი ძირითადი საშუალებების დასახელება | საწყისი ყოველთვიური საიჯარო ქირის ოდენობა დღგ-ს გარეშე | იჯარის ხანგრძლივობა |
|---|---|---|
| 1. ქ. თბილისი, მოსკოვის გამზ. მე-4 კვარტ. მე-3 კორპუსი (204,44 კვ.მ.) | 4.00 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში (1 კვ.მ.) | 12 თვე |
| 2. ქ. თბილისში, 26 მაისის მოედანი №2, ნაგებობა №1-ში (2661,19 კვ.მ.) | 8.20 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში (1 კვ.მ.) | 12 თვე |

შესაძლოა, ქ. თბილისი, 26 მაისის მოედანი №2, ნაგებობა №1-ში მდებარე ფართის ცალ-ცალკე იჯარით გაცემა;

**სააუქციონო პირობა:**

საწარმოს პრივატიზების შემთხვევაში საწარმოს მყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს საწარმოს პრივატიზებამდე საწარმოს ძირითადი საშუალებების დროებით სარგებლობაში გადაცემის ურთიერთობები (ხელშეკრულებები);

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად მსურველებმა სააუქციონო რეგისტრატორს უნდა წარუდგინონ დოკუმენტები:

- განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, იმ ძირითადი საშუალების დასახელებას, რომლის იჯარით აღებაც სურს მონაწილეს და თანხმობას საუქციონო პირობების შესრულების თაობაზე;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში);
- ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;
- სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში);

**აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა 2010 წლის 11 მარტიდან 2010 წლის 24 მარტის ჩათვლით 11-დან 16 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 26 მაისის მოედანი №2.**

**აუქციონი ჩატარდება 25 მარტს 14 საათზე. საკონტაქტო ტელეფონი: 36-38-61.**

**შპს „გეო ფარმა1“**

## ყველაფერი ყველაფერზე

### მამამ შვილს ურჩია



**ალექსანდრე დიუმას (მამას) რაიმე სერიოზული განათლება არ მიუღია, რაც ძალიან ტანჯავდა, თუმცა იხტიბარს არ იტეხდა. გადაწყვიტა თავისი ვაჟისთვის (ალექსანდრე დიუმა-შვილისთვის) კარგი რჩევები მიეცა.**

დასაწყისში, როგორც ურჩია, სჯობდა ლექსები ლათინურად ეწერა. შემდეგში ფრანგულად წერა გაცილებით უკეთ გამოუვიდოდა. ესწავლა ძველი ბერძნული ენა, რათა ორიგინალში გასცნობოდა ჰომეროსს, სოფოკლესა და ევრიპიდეს, ბიბლია სასის ფრანგული თარგმანით ეკითხა, ღრმად შეესწავლა შექსპირი, დანტე, კორნელი, სიტყვა-სიტყვით „ჩაეყლაპა" მოლიერი: „მასზე უკეთ ვერავინ ვერასოდეს ვერაფერს დაწერს". ნურც თანამედროვე ავტორებს დაივიწყებდა: „იკითხე ვრცელი მონოლოგები ჰიუგოს „ერნანიდან", „მარიონ დელორმიდან" და ცნობილი დრამიდან „მეფე ერთობა" (რომლის მიხედვითაც შეიქმნა ვერდის განთქმული ოპერა „რიგოლეტო") – ისე კი, ნურც მამაშენის ნაწერებს დაივიწყებ – და მამამ შვილს თავისი რამდენიმე მოთხრობა და პიესაც დაუსახელა. „სამი მუშკეტერისა" და „გრაფ მონტე კრისტოს" დრო ჯერ კიდევ არ დამდგარიყო.

### „ამ ზანგს ნუ მადარებთ"



**ბალზაკი დიუმაზე სამი წლით უფროსი იყო. თუმცა თვითონაც ბევრს წერდა, მაგრამ მაინც ძალიან ღიზიანდებოდა, როცა ფრანგულ თეატრებში „ამ ზანგის" ერთდროულად რამდენიმე პიესა (დიუმა ჯერ კიდევ არ წერდა თავის რომანებს, რომლებმაც მისი სახელი უკვდავი გახადეს) იდგმებოდა.**

ერთხელ, საღამო ხანს, როცა ორივე მწერალი რომელიღაც ლიტერატურულ სალონში შემთხვევით შეხვდა ერთმანეთს, ბალზაკმა დამცინავად შეხედა დიუმას და თქვა: „როცა მე არაფრის გაკეთების თავი აღარ მექნება, ავდგები და დრამების წერას მივყოფ ხელს".

დიუმას დიდი ხნის ფიქრი სულაც არ დასჭირვებია: „მაშ, ბარემ ახლავე დაიწყეთ, ჩემო ბატონო!"

### „ჩვენ არ გვეყოფა, ტყვეობაში რომ ვართ!"



**ცნობილია, რომ დარეჯან დედოფალი ციციანოვის დაჟინებით, ფაქტობრივად, ძალით გაასახლეს საქართველოდან. აქ ხომ არც ერთი ბაგრატიონი აღარ უნდა დარჩენილიყო.**

დედოფლის შვილიშვილს ალექსანდრე ორბელიანს მოჰყავს ერთი საინტერესო ეპიზოდი,



რომელიც ერეკლეს ქვრივის პეტერბურგში ყოფნას ეხება: „ერთს დილით დედოფლის სასახლის წინ დამწყვდეული ჩიტი გაატარეს გასასყიდად. დედოფალმა უბრძანა, რომ ეყიდათ მთელი გალია. ყველანი გაოცდნენ, თუ რათ უნდოდა დედოფალს ამოდენა ჩიტები. დედოფალმა გალია აიღო, გამოაღო ფანჯარა და ჩიტები სათითაოდ გადააფრინა...

– ჩვენც გვეყოფა ტყვეობა, თქვენ მაინც იყავით თავისუფალნი – და თვალებცრემლიანმა გალია გადააგდო".

მოამზადა
**გივი გამრეკელმა**

## დღის კალენდარი

### 11 მარტი

**პორფირისა, ღაზელი მთავარეპისკოპოსისა (420); დიდმოწამისა ფოტინე სამარიტელისა და მისთანა მოწამეთა; ბიქტორისა, იოსესი, ანატოლიასი, ფოტოსი, ფოტიდესი, პარასკევასი, კვირიაკიასი, დომნინასი, სებასტიანესი და ქრისტოდულესი (54-68); მოწამისა თეოკლიტე მეწამლისა (I); ხსენება იოანე ოქროპირის ხუცესად ხელთდასხმისა; წმიდისა ნიკოლოზ კატოპინელისა; ახალმოწამე იოანე კალფასი, კონსტანტინოპოლელისა (1575).**



ამოდის 06.20
ჩადის 18.02



ამოდის 14.32
ჩადის 05.00

### დაიბადნენ:

**1847 – ტომას ედისონი,** ამერიკელი ელექტროტექნიკოსი და გამომგონებელი. გამოიგონა ფონოგრაფი, სარკინიგზო მუხრუჭი, სატელეფონო ლაპარაკის ჩამწერი აპარატი და სხვა. გარდაიცვალა 1930 წელს.

**1906 – კლავდია შულჟენკო,** რუსი მომღერალი. გარდაიცვალა 1984 წელს.

**1907 – მამია ასათიანი,** მწერალი. გარდაიცვალა 1970 წელს.

**1942 – ალექსანდრე ბასილაია,** კომპოზიტორი, პოპულარული საესტრადო სიმღერების ავტორი. გარდაიცვალა 2009 წელს.

### გარდაიცვალნენ:

**1869 – ვლადიმირ ოდოევსკი,** რუსი მწერალი, ფილოსოფოსი, პედაგოგი და მუსიკათმცოდნე.

**1955 – ალექსანდრ ფლემინგი,** შოტლანდიელი ბაქტერიოლოგი, აღმოაჩინა პენიცილინი.

**1957 – რიჩარდ ბერდი,** ამერიკელი ავიატორი და გამომგონებელი.

### მოვლენები:

**1669** – ვულკან ეტნას (იტალია) ამოფრქვევის შედეგად ათიათასობით ადამიანი დაიღუპა.

**1867** – გაიმართა ჯუზეპე ვერდის ოპერის „დონ კარლოსის" პრემიერა.

**1937** – გერმანიის ჯარები შევიდნენ ავსტრიის ტერიტორიაზე და მოახდინეს მისი ანექსია.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**ლიტვა** – დამოუკიდებლობის დღე.

**ზამბია** – ახალგაზრდობის დღე.

**მედიანიუსი**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში"
99-62-77; 899 32-85-76.

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7360 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3632 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.6481 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.7792 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.5165 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1608 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1727 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1279 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5433 ლარი |



### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +4 – +14 |
| ქუთაისი. | +5 – +18 |
| ბათუმი. | +6 – +12 |
| ზუგდიდი. | +3 – +14 |
| თელავი. | +5 – +13 |

## ინფორმაცია

# ყვარელი საფრთხეშია

**ყვარელში, დურუჯის ხეობაში ეკოლოგიური კატასტროფაა მოსალოდნელი. როგორც სპეციალისტებმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადეს, მდგომარეობა საგანგაშოა.**

– 1990 წლის შემდეგ მდინარე დურუჯის კალაპოტი არ გაწმენდილა. მანამდე აქ ყოველდღიურად 6-7 ექსკავატორი მუშაობდა, ჩამონატანს წმენდდნენ და ზემოთ, სანაპირო დამბაზე ყრიდნენ. ბოლო 20 წლის განმავლობაში ჩამონატანი დაგროვდა და დამცავი გაბიონები მთლიანად დამარხა. ამ დროისთვის მდინარე დურუჯი იმაზე მაღლა იმყოფება, ვიდრე ყვარლის დასახლებული ტერიტორია. პატარა წყალდიდობის შემთხვევაშიც კი მოსალოდნელია, რომ მდინარე დაზიანებულ ნაპირს გაარღვევს და ყვარელს წალეკავს, მოსახლეობას ცოცხლად დამარხავს, – განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ანზორ საკანდელიძემ.

გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიური საშიშროების და გეოლოგიური გარემოს მართვის დეპარტამენტის უფროსის ემილ წერეთლის თქმით, მდგომარეობა ძალიან მძიმეა და სასწრაფოდ არის შესასწავლი.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## კადრი



## ანეკდოტები

**– გამარჯობა! შეგიძლია, მომილოცო!**
**– ეუბნება დაშა პეტკას.**
**– რა მოგილოცო? ფეხმძიმედ ხარ?**
**– ჰო. ესე იგი, ის შენა ხარ?**

* * *

**ახლა ტელევიზორი ისეთი უინტერესოა, რომ ფანჯარაში ყურება ჯობს.**

* * *



**– ამბობენ, პეტკას ცოლი გასცილდა და სხვასთან წავიდაო. ძალიან განიცდის პეტკა?**
**– ნუ იტყვი. უკვე ორი კვირაა, სამსახურში არ დადის. კარ-ფანჯრები კი აჭედა, მაგრამ მაინც დარაჯობს იქაუროზას: ხომ შეიძლება ცოლმა გადაიფიქროს და დაბრუნდეს?**

* * *

**სიყვარული მოყვარულებმა მოიგონეს. პროფესიონალებმა კი პროსტიტუცია გააჩალიჩეს.**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.